



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეთერი თოროსიან

საქართველოში არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული
შემოსავლის სტრუქტურა და დინამიკა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: იოსებ არჩვაძე,
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

თემის აქტუალურობა: საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გადასახადებს, ხოლო ამ უკანასკნელში - არაპირდაპირ გადასახადებს. ეკონომიკის სტრუქტურიდან, ერთი მხრივ, და მზარდი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სახის ვალდებულებებისა და პროექტების დაფინანსების აუცილებლობიდან გამომდინარე, მეორე მხრივ, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შემოსავლებში აქცენტი, ფისკალური დატვირთვა სწორედ არაპირდაპირ გადასახადებზეა გაკეთებული. შესაბამისად, არაპირდაპირი გადასახადების დაბეგვრის სისტემა მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლას თეორიული და პრაქტიკული განვითარების და სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციის კუთხით. დღეისათვის არაპირდაპირი გადასახადების მოცულობა დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატება პირდაპირი გადასახადების მოცულობას.

კვლევის მიზანი: არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის მეცნიერული შინაარსისა და საზღვარგარეთული და სამამულო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და არაპირდაპირი გადასახადების პრაქტიკული შედეგების შესწავლა-ანალიზი. არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის პრობლემები საქართველოში განხილულია მოქმედი დამატებული ღირებულების გადასახადისა, აქციზისა და იმპორტის გადასახადის მაგალითზე.

კვლევის საგნად: გამოდის საგადასახადო ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება სუბიექტებს შორის არაპირდაპირი გადასახადების გამოანგარიშების და ამოღების პროცესში.

კვლევის ობიექტად: გამოდის არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის ორგანიზების მექანიზმი, კერძოდ გადასახადების: დღგ-ის, აქციზის და იმპორტის ბიუჯეტში ამოღების (ადმინისტრირების) მოქმედი წესი საქართველოში.

ძირითადი შედეგები: აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მთლიანობაში გაზრდილი ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების როლი და მნიშვნელობა მოვიდნენ უფრო მეტ შესაბამისობაში ქვეყნის ეკონომიკურ პოტენცილთან და იმ ამოცანებთან, რაც ამ ტიპის გადასახადებს (ისევე, როგორც მთელ საგადასახადო სისტემას) უყენებს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა და მის წინაშე მდგარი გამოწვევები.

Abstract

The structure and dynamics of income from indirect taxes in Georgia

Student: Eteri Torosyan

Actuality of topic: Significant part of budget revenues of Georgia takes taxes, latest mentioned considered as an Indirect taxes . On the one hand, economic structure and due to the necessity of increasing socio-economic and other obligations and projects financing , on the other hand, the focus of modern Georgian state incomes. Fiscal loading is done on indirect taxes. Therefore, taxation system of indirect taxes requires a thorough study of theoretical and practical development and in the way of mobilization of funds in the government state budget. Currently, quantity of indirect taxes are about 1.5 times higher than direct taxes.

Aim of study: Taxation of Indirect taxes, their scientific content and taking into consideration the experience of overseas and national practice, study and analysis of current tax legislation and practical results of indirect taxes. Indirect Tax Taxation Problems in Georgia is discussed existing value added taxes, excise and import tax example.

Study subject: Tax relations, that are formed In the process of calculating and removing indirect taxes among the subjects

Study objective: Mechanism for indirect tax taxation, particularly: VAT, Excise and import budgets (Administration) acting rule in Georgia.

Results: As a result of above mentioned outcomes, overall effectiveness of tax system operating in the country has increased, the role and importance of indirect taxes has much conformity with an economic potential of the country and with those objectives, as these type of taxes suggests modern economy of Georgia and challenges facing onward.

სარჩევი

ანოტაცია	2
Abstract.....	3
სარჩევი	4
შესავალი	5
თავი I : არაპირდაპირი გადასახადების არსი და ფუნქციები გადასახადების სისტემაში.	10
თავი II. საქართველოში მოქმედი არაპირდაპირი გადასახადების სტრუქტურა და დინამიკა	25
ა) დამატებული ღირებულების გადასახადი.....	28
ბ) იმპორტის გადასახადი.....	37
გ) აქციზი	51
თავი III. არაპირდაპირი გადასახადების ევოლუცია საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაში.....	59
დასკვნა	84
გამოყენებული ლიტერატურა.....	90

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სტრუქტურა და დინამიკა. გადასახადი არის საგადასახადო კოდექსით დადგენილი სავალდებულო, უპირობო, ფულადი შენატანი საქართველოს სახელმწიფო, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იხდის მისი არაეკვივალენტური, უსასყიდლო, აუცილებელი ხასიათიდან გამომდინარე. გადასახადის ანალოგი არ არსებობს ანუ დაუშვებელია მისი სხვა ნივთით ჩანაცვლება. რაც შეეხება გადასახადების დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს, საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების დაწესება, შეცვლა ან გაუქმება ხდება საგადასახადო კოდექსში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანით. გადასახადის გადამხდელზე დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ბიუჯეტში უნდა იქნეს გადახდილი. გადასახადები სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. გადასახადი, მართალია, არ წარმოადგენს ბიუჯეტის ფორმირების ერთადერთ წყაროს, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში მას უმნიშვნელოვანესი, გადამწყვეტი როლი ენიჭება.

სახელმწიფოს მიერ დაწესებული საგადასახადო ადმინისტრირების მეთოდები და ფორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს შეფასებაში. გადასახადების ადმინისტრირების პროცესი ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან უპირველესად მასზეა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება და ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. ქვეყანაში გადასახადების ადმინისტრირების განხორციელების მყარ საფუძველს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული დაბეგვრის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა წარმოადგენს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადების ადმინისტრირება წარმოადგენს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის

გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში. გადასახადების ადმინისტრირება არ არის მხოლოდ გადასახადების ამოღება, არამედ იგი გულისხმობს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე უფლება-მოვალეობათა განხორციელებისას გამოყენებული წესების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას.

საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია. მხოლოდ გამართული და თანადროული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესატყვისი საგადასახადო სისტემის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების განვითარება და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ფორმულირებისა და განვითარების ეკონომიკური საფუძველია ფინანსური რესურსები, რომლებიც ძირითადად გადასახადებითა და მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდით ფორმირდება. ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე. გადასახადები სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის და დარჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად. გადასახადების ოდენობის, მისი სახეების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-ყოფითი პირობების, სამართლიანობისა და ეფექტურობის გათვალისწინებით, ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. ნებისმიერი ქვეყნის მიზანია შექნას ისეთი მოქნილი და მიზანდასახული საგადასახადო სისტემა, რომელიც ადვილად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას და დროის კონკრეტულ მომენტში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინება შეეძლება.

როგორც წესი, საგადასახადო სისტემას მრავალმიზნობრივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ერთის მხრივ, მისი მეშვეობით უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის ძირითადი ნაწილის ფორმირება, ხოლო, მეორეს მხრივ, საგადასახადო სისტემა სტიმული უნდა იყოს სამეწარმეო აქტივობისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, წარმოების გაფართოება-განვითარებისა და შესაბამისად, აღნიშნულის კვალობაზე საგადასახადო ბაზის შემდგომი გაზრდისათვის. ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, საგადასახადო სისტემა, ეკონომიკის განვითარება – სტიმულირების ხელშემწყობ მექანიზმს უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს, როგორც სრულყოფილი საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში მყოფი ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არაპირდაპირი გადასახადები, სახელმწიფო შემოსავლებში აქცენტი, ფისკალური დატვირთვა ძირითადად მასზეა გაკეთებული. ისინი ფართოდ გამოიყენება საგადასახადო პრაქტიკაში. რომელთა მოცულობა დაახლოებით 1.5-ჯერ აღემატება პირდაპირი გადასახადების (საშემოსავლო, მოგების, ქონების გადასახადები). უახლოესი საგადასახადო რეფორმების გამოცდილება ადასტურებს არაპირდაპირი გადასახადების გამოყენების აუცილებლობას როგორც ფისკალური, ისე რეგულირებადი მიზნისათვის. კერძოდ, განსაკუთრებით გაიზარდა ამ ტიპის გადასახადების როლი და მნიშვნელობა 2017 წლის დასაწყისიდან საგადასახადო რეფორმის ახალი ეტაპის დაწყებიდან, რომელიც უკავშირდება საქართველოში გადასახადების მობილიზების ე.წ. „ესტონური მოდელის“ დანერგვას - მოგების რეინვესტირების შემთხვევაში მისი მოგების გადასახადისაგან განთავისუფლების თაობაზე. ამით სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი შემოსავალი დააკლდა მოგების გადასახადის სახით. ასეთ პირობებში საბიუჯეტო სახსრების მობილიზების მთელი ტვირთი გადავიდა არაპირდაპირ გადასახადებზე, კერძოდ აქციზზე. აქვე უნდა ისიც ითქვას, რომ აქციზებზე არ ვრცელდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით საგადასახადო განაკვეთის დაკავშირება საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარებასთან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კვლევის აქტუალობას არაპირდაპირი გადასახადების თაობაზე.

არაპირდაპირი გადასახადის ტვირთი აწვება მყიდველს, საბოლოო მომხმარებელს, ხოლო გადასახადის სუბიექტს წარმოადგენს მწარმოებელ-გამყიდველი, ვინაიდან ის იღებს არაპირდაპირ გადასახადს და გადაურიცხავს მას სახელმწიფოს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის არაპირდაპირი გადასახადი განმარტებულია, როგორც გადასახადი, რომელიც დგინდება მიწოდებული (იმპორტირებული) საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი (იმპორტიორი) ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის ან/და მომსახურების შემენისას (იმპორტისას). არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებელს (იმპორტიორს) ან/და მომსახურების გამწევს, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის გადასახადის გადამხდელად იწოდება. არაპირდაპირი გადასახადის შემთხვევაში შესაბამისი მეწარმე მხოლოდ ფორმალურად გვევლინება გადასახადის სუბიექტად, ვინაიდან ფაქტობრივად გადასახადის ტვირთი გადაკისრებული აქვს მომსახურების ან/და საქონლის შემძენს.

ქართველი მეცნიერებიდან საგადასახადო შემოსავლებისა და საგადასახადო ტვირთის მეცნიერული კვლევის საკითხებს უძღვნიან თავიანთ ნაშრომებს: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორები: იური ანანიაშვილი, იაკობ მესხია, რევაზ ბასარია, ვლადიმერ ბასარია, ნოდარ ხადური, დავით ნარმანია, ემზარ ჯგერენაია, რევაზ კაკულია, მიხეილ ჩიკვილაძე, თეიმურაზ კოპალეიშვილი, იოსებ არჩვაძე, ლელა ბახტაძე, აკაკი გაბელაია, ნაირა ყირიმლიშვილი და სხვები.

ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ სიღრმისეულად არის გამოკვლეული გადასახადები ზოგადად, სხვადასხვა ასპექტით. თუმცა, საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, მუდმივად საჭიროებს სრულყოფას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხების კვლევა და მეცნიერული სიახლეების ძიება უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს.

არაპირდაპირი გადასახადების დაბეგვრის სისტემა მოითხოვს ყოველმხრივ შესწავლას თეორიული და პრაქტიკული განვითარების, სამეურნეო სუბიექტების საქმიანობაზე

ზემოქმედებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციის კუთხით. ყოველივე ამან განაპირობა ინტერესი დაყენებული საკითხისადმი და სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა.


თავი I : არაპირდაპირი გადასახადების არსი და ფუნქციები გადასახადების სისტემაში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების წესებსა და ზოგად პრინციპებს, გადასახადის სახეებსა და განაკვეთებს, ასევე მათი დაწესების, შემოღების, შეცვლის, გაუქმებისა და გადახდის წესებს. კოდექსი განსაზღვრავს საგადასახადო კონტროლისა და სამართალდარღვევის სახეებს, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი ქმედების გასაჩივრების წესსა და პირობებს. საგადასახადო კოდექსი ასევე არეგულირებს საგადასახადო ურთიერთობისას წამოჭრილი სადაო საკითხების გადაწყვეტის წესსა და პირობებს.

საქართველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებისა და პირობების შესრულება და განუხრელი დაცვა ყველა გადასახადის გადამხდელის ვალია. დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობის ევოლუციურ და ხარისხობრივ განვითარებას. მისი ნორმების გამოყენება წარმოებს იმ ცოდნისა და პრაქტიკული გამოყენების ბაზაზე, რომელიც დაგროვდა ბოლო თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში (1995-2019). შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოქმედი საგადასახადო კოდექსით საქართველო ცივილიზებული საგადასახადო სისტემის მქონე სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთნება. საგადასახადო კოდექსი წარმოადგენს კომპლექსურ ნორმატიულ აქტს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ პროცესუალურ ნორმებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი მაღალი ხარისხის სისტემატიზაციის მქონე საქართველოს კანონია ანუ კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტია. საგადასახადო კოდექსის პირველი მუხლი ადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის რეგულირების სფეროს. უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კოდექსი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებსაც მრავალმხრივი და კომპლექსური ხასიათი გააჩნიათ. გარდა ამისა, ეს საზოგადოებაში არსებული სოციალური კავშირების საკმაოდ სპეციფიკური სფეროა. იგი განპირობებულია გადასახადის, როგორც სახელმწიფო ფინანსების შექმნის ძირითადი წყაროს, ეკონომიკური და საჯარო-სამართლებრივი შინაარსით.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო კოდექსის პირველი მუხლი გვაძლევს საგადასახადო კოდექსის ძირითად შინაარსს. პირველი მუხლიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტებს ადგენს და განსაზღვრავს მხოლოდ საგადასახადო კოდექსი.

საგადასახადო სისტემა მოიცავს გადასახადებთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, რომლებიც დაჯგუფებულია და წარმოდგენილია როგორც საგადასახადო სისტემის შემადგენელი ოთხი ძირითადი ელემენტი:



როგორც ცნობილია, გადასახადების აკრეფა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით ფუნქციონირებს სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემა, ხდება სახელმწიფო მმართველობის აპარატის შენახვა. გადასახადები ეკონომიკის ფუნქციონირება-განვითარების მძლავრი ფაქტორია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნები დამოუკიდებლად ირჩევენ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკას და შესაბამისად მაკროეკონომიკური განვითარების ამა თუ იმ მოდელს-*ნეოლიბერალურს*, როდესაც სახელმწიფო არაპირდაპირი ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციას ასრულებს, ან *სოციალურ-საბაზროს*, როდესაც სახელმწიფო გადასახადებს ანიჭებს ძირითად ფისკალურ ფუნქციას.

ამოღების წესის მიხედვით მიღებულია გადასახადების დაყოფა ორ ჯგუფად: *პირდაპირ* და *არაპირდაპირ* გადასახადებად. არაპირდაპირი გადასახადი წამოადგენს დაბეგვრის ისეთ ფორმას, როდესაც კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს საქონლის ან მომსახურების შეძენისას იხდის მომხმარებელი. ამ ტიპის გადასახადები შედიან საქონლის ფასში ან მომსახურების ტარიფში და საქონლის მფლობელს

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული გადასახადის ოდენობა შეაქვს ბიუჯეტში. არაპირდაპირ გადასახადებს შორის მთავარი ადგილი უჭირავს დამატებული ღირებულების გადასახადს. რომელიც ყოველწლიურად მზარდი ტენდენციით

არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება:

აქციზი – დაწესებულია ცალკეულ საქონელზე და კანონმდებლობით იხდის საქონლის მწარმოებელი ან იმპორტიორი. აქციზის გადასახადის განაკვეთი განსხვავებულია საქონლის სახეობების მიხედვით. ხასიათდება. სააქციზო საქონელს წარმოადგენს *ალკოჰოლური სასმელები, საწვავი, თამბაქოს ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები*. არაპირდაპირ გადასახადებს აკუთვნებენ საბაჟო გადასახადებს, *საგერბო მოსაკრებელს, სათამაშო ბიზნესის გადასახადს, მოსაკრებელს ცხენის ჭენებისა და ძაღლების სირბილის სანახაობიდან*.

დამატებითი ღირებულების გადასახადი – დაწესებულია საქონლისა და მომსახურების ყველა სახეობაზე (თუ განთავისუფლებული არ არის კანონმდებლობით) და გადაიხდება საქონლის ბრუნვის ნებისმიერ ეტაპზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, დღგ-ს განაკვეთი განსაზღვრულია 18 პროცენტით.

საბაჟო გადასახადი – განსაზღვრულია საგადასახადო კანონმდებლობით და გადაიხდება საქონლის იმპორტიორის მიერ. იგი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში სავალდებულო შენატანს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისათვის და გამოითვლება საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების მიხედვით.

საქართველოში მოქმედი ყველა არაპირდაპირი გადასახადი საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულებისაა, მაშინ როდესაც სამი პირდაპირი გადასახადიდან ორი - საერთო-სახელმწიფოებრივი, ერთი კი - ადგილობრივი გადასახადია (ქონების გადასახადი).

გადასახადების პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებად დაყოფა პირველად მოცემული იქნა ინგლისელი ფილოსოფოსის ჯ. ლოკის მიერ მე-17 საუკუნის ბოლოს. გადასახადების დაყოფას საფუძვლად დაედო გადასახადების გადაკისრების კრიტერიუმი. არაპირდაპირი გადასახადის მატარებელს წარმოადგენს მყიდველი,

მომხმარებელი. გადასახადის სუბიექტს კი წარმოადგენს მწარმოებელ-გამყიდველი, ვინაიდან ის იღებს არაპირდაპირ გადასახადს და გადაურიცხავს მას სახელმწიფოს. ეკონომიკის შესახებ ნაშრომებში არაპირდაპირი გადასახადების აღწერა-დახასიათებისას, მათი გავლენისას საბაზრო ურთიერთობათა მონაწილეებზე აქცენტი კეთდება მომხმარებელზე ანუ გადასახადის ბოლო გადამხდელზე. მწარმოებლებთან მიმართებაში ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომ მომხმარებელზე გადასახადი მათზე პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას ანდა გავლენა მინიმალურია. აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია საკითხის სუფთა თეორიულ მხარეზე, იგულისხმება რა, რომ მწარმოებელი წარმოადგენს მხოლოდ ელემენტს, რომელიც განასახიერებს და განახორციელებს საგადასახადო გადახდას მომხმარებელსა და ბიუჯეტს შორის.

ამასთან გათვალისწინებულია, რომ არაპირდაპირი გადასახადებით დასაბეგრ საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია და ყოველი ცვლილება ფასის, დაკავშირებული ასეთი გადასახადის შემოღებასთან, არ აისახება მოთხოვნილების მოცულობაზე. მაგრამ პრაქტიკაში საქმე სხვაგვარად დგას. არაპირდაპირი გადასახადები გარკვეულ გავლენას ახდენენ სამეურნეო სუბიექტების საფინანსო მდგომარეობაზე. ცალკეული განსხვავებები არსებობს არაპირდაპირი გადასახადების გადაკისრების ფორმაში. ვინაიდან დღე მოიცავს საქონლის, მომსახურების ფართო დიაპაზონს, მომხმარებელს უმნიშვნელო შანსი აქვს შეეწინააღმდეგოს ფასების ზრდას, დაკავშირებულს ამ გადასახადთან, თავისი ხარჯების გადამისამართებით გადასახადით არადაბეგვრადი საქონლის, მომსახურების მიმართულებით. აქციზით იბეგრება შედარებით მცირე ჩამონათვალი საქონლისა და აქ მომხმარებელს უფრო დიდი შესაძლებლობა აქვს შეეწინააღმდეგოს ფასების ზრდას, განპირობებულს, გამოწვეულს გადასახადებით. მაგრამ პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში ფასების ზომიერი ზრდა არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას გაყიდვის, მიწოდების მოცულობაზე. ეს ეხება აქციზებს ენერგომატარებლებზე, სიგარეტზე, სპირტიან სასმელებზე. არაპირდაპირი გადასახადების ძირითადი ნაწილი ჩვეულებრივ გადაეკისრება მომხმარებელს ფასების გაზრდის ხარჯზე. უპირატესობასთან ერთად, არაპირდაპირ გადასახადებს ახასიათებს ნაკლიც, კერძოდ რაც უფრო ღარიბია პირი, მით უფრო მეტ წილს აძლევს ის სახელმწიფოს.

არაპირდაპირი გადასახადების სახით თავისი შემოსავლიდან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად გამოხატული რეგრესული ხასიათი არაპირდაპირ გადასახადებს ჰქონდა მაშინ, როცა ფართოდ გამოიყენებოდა ინდივიდუალური აქციზები, რომლებიც მიეყენებოდა წონას, მოცულობას, სიმაგრეს, უმეტესად პირველადი მოთხოვნილების საქონელზე. საქონლის ფასზე პროცენტული განაკვეთების მიყენებით და დასაბეგრი ბრუნვის გაფართოებით არაპირდაპირი გადასახადების რეგრესულობა კლებულობს, ვინაიდან მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე მოქალაქეები იხდიან მეტ გადასახადს შესყიდვების მოცულობის გაზრდის ხარჯზე.

არაპირდაპირი გადასახადების უპირატესობისა და ნაკლოვანებების განხილვისას, უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებულობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ არა მარტო მძლავრ ფინანსურ რესურსს, რომელიც იძლევა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, იგი არის აგრეთვე იარაღი, საშუალება, რომლის მეშვეობით სახელმწიფო იცავს ცალკეული ფენების ინტერესებს. ამდენად, არაპირდაპირი გადასახადები - განმანაწილებელი ფულადი ურთიერთობაა მიწოდების ფასზე კანონმდებლობით დადგენილი ნამატის ჩამორიცხვისა სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამოღებადი ერთ ან რამოდენიმე სტადიაზე საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გადაადგილებისა საბოლოო მომხმარებლამდე.

სახელმწიფო ხელისუფლება საგადასახადო პოლიტიკით - გადასახადის განაკვეთების ცვლილებით, სხვადასხვა შეღავათების დაწესებით, გადასახადებით დაბეგვრის საშუალებით ბაზარზე მოთხოვნა - მიწოდების სასურველი თანაფარდობით შეცვლით, ზეგავლენას ახდენს დანაზოგებზე, შესაბამისად, ეროვნულ ეკონომიკაში კაპიტალის დაგროვებასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

ქვეყნების მიხედვით საგადასახადო ტვირთის შედარებისათვის საერთაშორისო სტატისტიკა იყენებს მთლიან შიდა პროდუქტში გადასახადების წილის მაჩვენებელს. საგადასახადო წნეხი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. არ არსებობს ერთიანი „სწორი“ თანაფარდობა ამ ორ მაჩვენებელს შორის იმის გამო, რომ საერთო საგადასახადო წნეხი გარკვეულწილად გამოხატავს საზოგადოების მიერ სახელმწიფო ხარჯების არჩეულ დონეს.

საგადასახადო წნეხის, ტვირთის განხილვისას მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ სამეურნეო სუბიექტის მიდრეკილება, სურვილი, თავი აარიდონ გადასახადის გადახდას, იზრდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია საგადასახადო წნეხი. მსოფლიო გამოცდილება იმაზე მიგვანიშნებს, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის გადასახადების მობილიზაციას და უნარი გააჩნია ეროვნულ ეკონომიკაში შექმნას მნიშვნელოვანი დისპროპორციები.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში საბაჟო დეპარტამენტიდან მიღებული შემოსავლების წინმსწრები ზრდის ტენდენცია საგადასახადო დეპარტამენტიდან მიღებული შემოსავლების ზრდასთან მიმართებაში არ არის სასურველი მდგომარეობის მაჩვენებელი. ამასთან, აღნიშნული მდგომარეობა თავისი შინაარსიდან გამომდინარე განაპირობებს და განსაზღვრავს, რომ არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრა დომინირებს ქვეყანაში.

არადა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების ყველაზე მთავარი ფაქტორი მაინც ეკონომიკის აღორძინება და განვითარებაა. ამ სტრატეგიული ამოცანის რეალიზაცია მოითხოვს ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნას, რომელიც უპასუხებს საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნებს, ეროვნული წარმოების განვითარების ამოცანებს. ფაქტია, რომ საქართველოს ბიუჯეტი ძირითადად ეფუძნება საგადასახადო შემოსავლებს, რომლებიც აიკრიბება იმპორტისაგან უმეტესწილად ირიბი გადასახადების სახით. ეკონომიკური უსაფრთხოების პოზიციებიდან კი ბიუჯეტის დაყრდნობა იმპორტზე ძალიან სარისკოა.

თანამედროვე საქართველოში მთელ რიგ ფაქტორთა გამო არაპირდაპირი გადასახადები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს, რომელთაგან ბიუჯეტის შევსებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დღგ-ს. ამიტომ, ფისკალური თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად წარმოგვიდგება, რომ დღგ-მა ამ ეტაპზე შეინარჩუნოს თავისი პოზიციები.

კოდექსით შემოღებულ სხვა გადასახადებთან შედარებით, დამატებული ღირებულების გადასახადი ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადად ითვლება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების კუთხით. ის წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი გადახდის სიმძიმის საბოლოო მატარებელია არა გამყიდველი, არამედ –

საქონლისა თუ მომსახურების საბოლოო მომხმარებელი. თუმცა გადასახადის სახელწოდებაში ფიგურირებს „დამატებული ღირებულება“, პრაქტიკულად ის უფრო მსგავსია ისეთი გადასახადის, რომლის შემთხვევაშიც ყოველი გამყიდველი ანგარიშ-ფაქტურაში გადასახადის ჩართვით ახორციელებს შეგროვებულ გადასახადზე იმ ინფორმაციის თავმოყრას, რომელიც საბოლოო ჯამში წარედგინება საგადასახადო ორგანოს. ამასთან, მყიდველს უფლება აქვს აღნიშნული გადასახადი გამოიქვითოს მისთვის გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე. ჩათვლის თვისების მქონე დაბეგვრის ამგვარი სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ გამოირიცხოს გადასახადიდან გადასახადის გადახდა, რასაც გარკვეული ალბათობით ადგილი ექნებოდა იმ მიზეზით, რომ საბოლოო მომხმარებელამდე საქონელი და მომსახურება, როგორც წესი, გადის სხვადასხვაგვარი დამუშავების მრავალი სტადიის შემცველ გრძელ გზას. დღე პირველად შემოღებულ იქნა საფრანგეთში 1958 წლიდან და მისი ავტორი გახლდათ ფრანგი ეკონომისტი მორის ლორე. ამჟამად დღე შემოღებულია დაახლოებით 137 სახელმწიფოში, თუმცა განვითარებული ქვეყნებიდან მათში არ შედის აშშ და იაპონია, სადაც დღე-ის ნაცვლად მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3%-დან 15%-მდე).

დღე, როგორც პროდუქციის შემქმენი საბოლოო მომხმარებლის ტვირთი, წარმოიქმნება ნაბიჯ-ნაბიჯ, მისი წარმოებისა და განაწილების თანამიმდევრულ სტადიებზე, როგორც დასაბეგრი ოპერაციების შედეგი. ზოგიერთი დასაბეგრი ოპერაციის პირველი სტადია შეიძლება იყოს უცხოური საქონლის (მომსახურების) საქართველოში შემოტანა, რომელიც ასევე მონაწილეობს საბოლოო მომხმარებელისათვის დაბეგვრის ტვირთის ფორმირებაში, ანუ იმპორტი, საქონლის შემთხვევისას, და დასაბეგრი ოპერაცია, ე.წ. „იმპორტირებული“ მომსახურებისას. რაც შეეხება ექსპორტს, რეექსპორტსა და დროებით შემოტანას, მათი დღე-ით დაბეგვრის ობიექტად განხილვა, გარდა წმინდა თეორიული ასპექტებისა, რეალურად წარმოადგენს როგორც ქართული პროდუქციის უცხოეთში რეალიზაციის, ასევე – უცხოური საქონლისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების ხელშემწყობ ინსტრუმენტებს.

საქონლის ან მომსახურების მიწოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს დასაბეგრი ოპერაციას, თუ მიწოდება ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. სხვა შემთხვევაში საქონლის (მომსახურების) მიწოდება არ ითვლება დასაბეგრი ოპერაციად.

დღგ-ის გადამხდელი ორგანიზაციები ვალდებული არიან დღგ გადაიხადონ არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული უსასყიდლო მიწოდებებიდანაც. დაბეგვრის ამგვარი ტვირთი საგრძნობლად აფერხებს საქართველოში მათ მოღვაწეობას. დასაბეგრი ოპერაციისათვის (მიწოდებისათვის) დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს კომპენსაციის თანხა, მათ შორის, მომავალში მისაღებიც. ტერმინის განმარტების მიხედვით კომპენსაციის თანხაში ჩართვება ნებისმიერი გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელსაც მყიდველი უხდის გამყიდველს, მათ შორის, აქციზიცა და დღგ-ც. დღგ-ის დასაბეგრი ბაზის ფორმირებისას მონაწილეობას იღებს კომპენსაციის სრული თანხა დღგ-ის გარეშე. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ყოველი მიწოდებისას გამყიდველს მოუწევდა ერთუცნობიანი განტოლების ამოხსნა. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დღგ-ით დასაბეგრ ბაზაში ჩართულია აქციზის თანხა. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, ის კომპენსაციის თანხის კომპონენტად არც განიხილება, ვინაიდან პირგასამტეხლო (ისევე როგორც, ბე და მოვალის გარანტია) წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ზომას და საქონლის (მომსახურების) ანაზღაურებასთან კავშირი არ აქვს.

არაპირდაპირი გადასახადებიდან მეორე ადგილი უჭირავს აქციზს. აქციზური საქონლის ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანია. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც ან საქართველოში აწარმოებს აქციზურ საქონელს, ან ახორციელებს მის ექსპორტს ან იმპორტს. აქციზის მიზნებისათვის უნდა განვასხვავოთ აქციზური საქონლის წარმოების, შესაბამისად, მწარმოებლის, ორი კატეგორია: ა) აქციზური საქონლის დამზადება ხორციელდება მხოლოდ იმ ნედლეულით, მასალებითა თუ ნახევარფაბრიკატებით, რომლებიც დამამზადებლის საკუთრებაა; 2) აქციზური საქონლის დამზადება ხორციელდება იმ ნედლეულით, მასალებითა თუ ნახევარფაბრიკატებით, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის დამამზადებლის საკუთრება. მეორე შემთხვევისას ადგილი ექნება შემკვეთსა და მენარდეს შორის ნარდობის ხელშეკრულებას. ორივე შემთხვევაში მწარმოებელი დამამზადებელი, შესაბამისად, აქციზის გადამხდელიც. აქციზთან მიმართებაში ეს ორივე კატეგორიის მწარმოებელი ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა

დაბეგვრის მომენტის მიხედვით. აქედან გამომდინარე, გადამხდელისათვის მეტად მნიშვნელოვანია მწარმოებლის ამ ორი კატეგორიის ერთმანეთისაგან მკაცრად გამოიჯვნა, ასევე მნიშვნელოვანია თვით წარმოების განმარტებაც. ამას გარდა, წარმოებასთან დაკავშირებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ, თუ ერთი აქციზური საქონელი გარდაიქმნა მეორე აქციზურ საქონლად, მაშინ აღნიშნული გარდაქმნა აქციზის მიზნებისათვის უნდა ჩაითვალოს წარმოებად და ყურადღება არ უნდა მიექცეს როგორც სპეციალურ კანონმდებლობას, ასევე – კლასიფიკატორსაც. აქციზური საქონელი, საქონელბრუნვის ნებისმიერ ეტაპზე, კვლავ აქციზურ საქონლად იწოდება.

და ბოლოს იმპორტის გადასახადი. იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 195-ე მუხლი განსაზღვრავს იმპორტის გადასახადის გადამხდელს, თუმცა საკმაოდ ორაზროვნად. ამ მუხლის თანახმად იმპორტის გადასახადით საქონლის დაბეგვრასთან დაკავშირებით ვალდებული პირი არის საქონლის საბაჟო საზღვარზე გადამადგილებელი პირი. საქონელს შეიძლება გადაადგილებდეს გადამზიდავი კომპანია, რომელიც გადაადგილების მომენტში ითვლება საქონლის მფლობელად და პასუხისმგებელიც არის მის ხელშეუხებლობასა და დაცულობაზე, ვიდრე საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენამდე. მიუხედავად იმისა, რომ საქონლის გადამზიდავ პირს შეიძლება დაეკისროს ამ საქონლის იმპორტის გადასახადის გადახდაც (მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ ის საბაჟოსთან ურთიერთობაში გამოვა, როგორც საქონლის მესაკუთრის კანონიერი წარმომადგენელი, ან იმ შემთხვევებში თუ მოხდება გადამზიდავის მფლობელობაში მყოფი საქონლის დაკარგვა, უკანონო განკარგვა, რაზეც შეიძლება საბაჟომ დააკისროს პასუხისმგებლობა და შესაბამისი იმპორტის გადასახდელების გადახდაც), ის მაინც არ უნდა ჩაითვალოს კანონით გა- დასახადის გადამხდელად, ვინაიდან ეს არ არის მისი უფლება-ვალდებულება.

არაპირდაპირი გადასახადები შეიძლება დავეყოს არაპირდაპირ ინდივიდუალურ და არაპირდაპირ უნივერსალურ გადასახადებად. არაპირდაპირ ინდივიდუალური

გადასახადებით იბეგრება მკაცრად განსაზღვრული საქონლის ჯგუფები (აქციზები საქონლის ცალკეულ ჯგუფებზე და სახეებზე). არაპირდაპირი უნივერსალური გადასახადებით იბეგრება ყველა სახის საქონელი და მომსახურება, გარდა კანონით განთავისუფლებულსა (დამატებული ღირებულების გადასახადი)... არაპირდაპირი გადასახადი გადასახადის ტვირთი (სიმძიმე) მთლიანად აწვება საქონლის (მომსახურების) საბოლოო მომხმარებელს და განსაკუთრებით მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს.

როგორც წესი, ნებისმიერი ეკონომიკური კატეგორიის ფუნქციებში ვლინდება მისი არსი, შინაგანი შინაარსი და საზოგადოებრივი დანიშნულება. გადასახადების ფუნქციები გამოხატავს რა, მათ სოციალურ-ეკონომიკურ არსს, გადასახადებისა და მათი სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან ურთიერთკავშირის გაგების საშუალებას იძლევა. გადასახადის ფუნქცია გულისხმობს მისი არსისა და თვისების გამოვლენას, აგრეთვე საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრას. ფუნქცია გვიჩვენებს თუ როგორ ხდება მოცემული ეკონომიკური კატეგორიის, როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება-სტიმულირება. გადასახადის ფუნქცია გვიჩვენებს თუ როგორ ხდება მოცემული კატეგორიის, როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება-სტიმულირება. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენის აზრით საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადებისათვის განსაზღვრავენ ფისკალურ, სოციალურ და მარეგულირებელ ფუნქციებს, რომელთაგანაც თითოეული ასახავს გადასახადების შინაგანი არსის ცალკეულ მხარეებს, თავისებურებებსა და ნიშნებს.

ფისკალური ფუნქცია (ფისკი ლათინურად – ხაზინა, სალარო, ფინანსები) ვლინდება სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა შესასრულებლად. მისი საშუალებით ხდება გადასახადების ძირითადი საზოგადოებრივი დანიშნულების – სახელმწიფოს

ფინანსური რესურსების ფორმირება, რომელიც აკუმულირდება ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ რა ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ, ან ანელებენ ამ პროცესის ტემპებს, აძლიერებენ, ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ, ან ამცირებენ მოსახლეობის მყიდველობით უნარიანობას. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდრო კავშირშია გადასახადების ფისკალურ ფუნქციასთან. სახელმწიფოებისათვის ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია, იქნება ეს მისი გადიდების, თუ შემცირების პოზიციებიდან, მუდმივად იწვევს გადამხდელებთან სისტემატიურ შეხებას, რაც საბოლოო ჯამში, საშუალებას აძლევს ხელისუფლებას რეალური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, კვლავწარმოების პროცესის ყველა სტადიაზე. საყურადღებოა, რომ მარეგულირებელი ფუნქცია დიდ ეფექტს იძლევა ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში. ამასთან, კრიზისის პირობებში მისი მნიშვნელობა ეცემა.

სოციალურად ყველაზე არასამართლიანია არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადები (დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი). მათი ზეწოლა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ჯგუფებზე. საქმე იმაშია, რომ არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენენ პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასნამატს, რის გამოც, მომხმარებელი მას თავისი პირადი შემოსავლიდან იხდის. რა თქმა უნდა, მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ჯგუფებიც ჩვეულებრივი მომხმარებლები არიან და მათზეც ვრცელდება ფასნამატის საკუთარი შემოსავლიდან გადახდა, თუმცა ის მათ იმ სიმძიმით არ აწვება, როგორც დაბალშემოსავლიან ჯგუფებს. გამომდინარე აქედან, სოციალური სამართლიანობის მიღწევის მიზნით, საგადასახადო სისტემა უშვებს ცალკეულ შეღავათებს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის ხოლო მაღალ და დაბალშემოსავლიანთა ტვირთის რამდენადმე გამოთანაბრებისათვის ხშირად მიმართავენ ე.წ. *ადვალური გადასახადის შემოღებას* - საქონლის საბაზო (საბითუმო) ფასის პროცენტულ ფასწანამატს.

საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას ენიჭება. იგი განვითარებულ ქვეყნებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება: აშშ-ში, იაპონიაში, კანადასა და ინგლისში პირდაპირი გადასახადები სჭარბობს, ხოლო საფრანგეთში – არაპირდაპირი, გერმანიასა და იტალიაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა შედარებით დაბალანსებულია.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები ძირითადად არაპირდაპირი საგადასახადო შემოსავლების ბაზაზე იზრდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაპირდაპირი გადასახადები ძირითადად განვითარებადი და ნაკლებად განვითარებადი ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. იგი ფისკალურად გაცილებით ეფექტურია: შედარებით ნაკლებ ადმინისტრირებას საჭიროებს, ბიუჯეტში რეგულარულად მიიღება, მაგრამ სოციალურად არასამართლიანია, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობისა და მათი კეთილდღეობის ხარჯზე იზრდება. ეკონომიკური ბუნებით, დანიშნულებითა და ამოღების ხერხების მიხედვით არაპირდაპირმა გადასახადებმა პრაქტიკაში რამდენიმე არსებითი მახასიათებელი შეიძინა. ეს გადასახადები მომხმარებელზე გადასახადებს წარმოადგენს, ისინი უკიდურესად გადატანითია, ამიტომაც ანტისოციალურ და უსამართლო გადასახადებად ითვლებიან.

ეკონომიკური არსის მიხედვით ეს გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტში დამატებული ღირებულების ნაწილის ამოღების როგორც ფორმას, რომელიც წარმოებისა და მიმოქცევის ყველა სტადიაზე იქმნება. დღეს-ს სახელწოდება გადასახადით დაბეგვრის ბაზისა და გადასახადის თანხის განსაზღვრის პრაქტიკას ეწინააღმდეგება. საქმე იმაშია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადის ხარჯზე ფასების ნამატის მთელი თანხა საბოლოო მომხმარებელზე გადადის და ერთნაირ ტვირთად „აწვება“ როგორც ღარიბ, ასევე მდიდარ მომხმარებელს. აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში მოსახლეობის ძირითადი მასის შემოსავლები ძალიან დაბალია და ზრდა უმნიშვნელოა, ნათლად დავინახავთ აღნიშნული გადასახადის ფაქტობრივად ანტისოციალურ და უსამართლო ხასიათს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების მთელ პერიოდში დამატებული ღირებულების გადასახადის

გადამხდელად გადამხდელთა სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეგისტრაციის პირობები სისტემატურად იცვლებოდა.

აქციზი, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება მის ფასთან ერთად ასევე მრავალსაფეხურიანია. დღე-ისგან განსხვავებით, აქციზი ბიუჯეტში ერთხელ გადაიხდება და პროდუქციის მთელი ღირებულების დაბეგვრა ხდება. აქციზი ორნაირ როლს ასრულებს, პირველი – ბიუჯეტის შემოსავლების ერთ– ერთი უნიშვნელოვანესი წყაროა და მეორე – მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებისა და აგრეთვე მოხმარების შეზღუდვის საშუალებაა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად აქციზით დასაბეგრი საქონლის მიმართ გამოიყენება როგორც საპროცენტო, ასევე მტკიცე (სპეციფიკური) განაკვეთებიც. აქციზის გადასახადის არარსებობის პირობებში აქციზური პროდუქციის მწარმოებელი საწარმო მაღალ მოგებას დაუმსახურებლად მიიღებდა და სხვა საწარმოებთან შედარებით უკეთესი პირობები შეექმნებოდა. მაგალითად, საქართველოში სპირტიანი სასმელების, სიგარეტის საცალო ფასები ისეთია, რომ ამ პროდუქციის მწარმოებლის რენტაბელობის დონე სააქციზო გადასახადის გარეშე რამდენჯერმე მაღალი იქნებოდა.

შემოსავლების გადანაწილების სახელმწიფო მექანიზმში უმნიშვნელოვანესი როლი საგადასახადო დაბეგვრას აკისრია. სახელმწიფო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების დაწესებით ხაზინაში შემოსავლების მობილიზებას აწარმოებს, რათა ხელისუფლებამ სახელმწიფო ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები დაფაროს. სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები, მათი განაწილება წყაროებისა და მიმართულებების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის სახით წარმოდგება.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ თანაფარდობა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონეზე, გადასახადების დარიცხვისა და ამოღების მეთოდურ-სამართლებრივ საფუძვლებზე და ასევე ჩამოყალიბებული სტერეოტიპით ამა თუ იმ გადასახადებთან მიმართებაში. თუ საგადასახადო სისტემაში აქცენტი გაკეთებულია არაპირდაპირ და ქონებრივ დაბეგვრაზე, მაშინ დიდი ალბათობაა, რომ

საქმე გვაქვს დაბალგანვითარებულ ქვეყანასთან, ხოლო თუ გადასახადების სტრუქტურაში ჭარბობს პირდაპირი გადასახადები, რომლის ობიექტად გამოდის შემოსავლები, მაშინ ეს მიუთითებს, რომ საუბარია მაღალგანვითარებულ ეკონომიკაზე. ეს კანონზომიერება განსაკუთრებით თვალნათლივ წარმოჩინდება განვითარებად ქვეყნებში, რომელთა საგადასახადო დაბეგვრაში დომინირებენ არაპირდაპირი გადასახადები. თანაფარდობა პირდაპირ და არაპირდაპირ საგადასახადო დაბეგვრას შორის დამოკიდებულია შემოსავლების საშუალო დონეზე-რაც უფრო მაღალია შემოსავლების დონე, მით უფრო ეფექტურია პირდაპირი გადასახადების გამოყენება და პირიქით. მაგრამ ამაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთმა სუბიექტურმა ფაქტორმაც, როგორცაა ეროვნული ტრადიციები. მაგალითად აშშ-ში ისტორიულად ჩამოყალიბდა სტერეოტიპი არაპირდაპირ გადასახადებთან უარყოფითი დამოკიდებულების, როგორც უმეტესწილად სოციალურად არასამართლიანი საგადასახადო წნეხისა მოსახლეობის შემოსავლებთან მისი ნაკლები დამოკიდებულებით, ვიდრე შემოსავლების სიდიდესა და გადამხდელის ქონებასთან მიმართებაში პირდაპირი გადასახადების კავშირურთიერთობით. ეკონომიკის შესახებ ნაშრომებში არაპირდაპირი გადასახადების აღწერა-დახასიათებისას, მათი გავლენისას საბაზრო ურთიერთობათა მონაწილეებზე აქცენტი კეთდება მომხმარებელზე ანუ გადასახადის ბოლო გადამხდელზე. მწარმოებლებთან მიმართებაში ჩამოყალიბებულია შეხედულება, რომ მოხმარებაზე გადასახადი მათზე პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას ანდა გავლენა მინიმალურია. აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია საკითხის სუფთა თეორიულ მხარეზე, იგულისხმება რა, რომ მწარმოებელი წარმოადგენს მხოლოდ ელემენტს, რომელიც განასახიერებს და განახორციელებს საგადასახადო გადახდას მომხმარებელსა და ბიუჯეტს შორის. ამასთან გათვალისწინებულია, რომ არაპირდაპირი გადასახადებით დასაბეგრ საქონელზე მოთხოვნა ელასტიურია და ყოველი ცვლილება ფასის, დაკავშირებული ასეთი გადასახადის შემოღებასთან არ აისახება მოთხოვნილების მოცულობაზე. მაგრამ პრაქტიკაში საქმე სხვაგვარად დგას. არაპირდაპირი გადასახადები გარკვეულ გავლენას ახდენენ სამეურნეო სუბიექტების საფინანსო მდგომარეობაზე. ცალკეული განსხვავებები არსებობს არაპირდაპირი გადასახადების გადაკისრების ფორმაში. ვინაიდან დღე მოიცავს საქონლის, მომსახურების ფართო

დიაპაზონს, მომხმარებელს უმნიშვნელო შანსი აქვს შეეწინააღმდეგოს ფასების ზრდას, დაკავშირებულს ამ გადასახადთან, თავისი ხარჯების გადამისამართებით გადასახადით არადაბეგვრადი საქონლის, მომსახურების მიმართულებით. აქციზით იბეგრება შედარებით მცირე ჩამონათვალი საქონლისა და აქ მომხმარებელს უფრო დიდი შესაძლებლობა აქვს შეეწინააღმდეგოს ფასების ზრდას, განპირობებულს, გამოწვეულს გადასახადებით. მაგრამ პრაქტიკაში უმეტეს შემთხვევაში ფასების ზომიერი ზრდა არ ახდენს უარყოფით ზეგავლენას გაყიდვის, მიწოდების მოცულობაზე. ეს ეხება აქციზებს ენერგომატარებლებზე, სიგარეტზე, სპირტიან სასმელებზე. არაპირდაპირი გადასახადების ძირითადი ნაწილი ჩვეულებრივ გადაეკისრება მომხმარებელს ფასების გაზრდის ხარჯზე. უპირატესობასთან ერთად, არაპირდაპირ გადასახადებს ახასიათებს ნაკლიც, კერძოდ რაც უფრო ღარიბია პირი, მით უფრო მეტ წილს აძლევს ის სახელმწიფოს არაპირდაპირი გადასახადების სახით თავისი შემოსავლიდან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად გამოხატული რეგრესული ხასიათი არაპირდაპირ გადასახადებს ჰქონდა მაშინ, როცა ფართოდ გამოიყენებოდა ინდივიდუალური აქციზები, რომლებიც მიეყენებოდა წონას, მოცულობას, სიმაგრეს უმეტესად პირველადი მოთხოვნილების საქონელზე. საქონლის ფასზე პროცენტული განაკვეთების მიყენებით და დასაბეგრი ბრუნვის გაფართოებით არაპირდაპირი გადასახადების რეგრესულობა კლებულობს, ვინაიდან მაღალი და საშუალო შემოსავლების მქონე მოქალაქეები იხდიან მეტ გადასახადს შესყიდვების მოცულობის გაზრდის ხარჯზე. არაპირდაპირი გადასახადების უპირატესობისა და ნაკლოვანებების განხილვისას, უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებულობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ არა მარტო მძლავრ ფინანსურ რესურსს, რომელიც იძლევა შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, იგი არის აგრეთვე იარაღი, საშუალება, რომლის მეშვეობით სახელმწიფო იცავს ცალკეული ფენების ინტერესებს. ამდენად, არაპირდაპირი გადასახადები - განმანაწილებელი ფულადი ურთიერთობაა მიწოდების ფასზე კანონმდებლობით დადგენილი ნამატის ჩამორიცხვისა სახელმწიფოს სასარგებლოდ, ამოღებადი ერთ ან რამოდენიმე სტადიაზე საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) გადაადგილებისა საბოლოო მომხმარებლამდე.

თავი II. საქართველოში მოქმედი არაპირდაპირი გადასახადების სტრუქტურა და დინამიკა

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი

ბ) იმპორტის გადასახადი

გ) აქციზი

საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა ეკონომიკური ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა. გარდამავალი ეკონომიკის პერიოდში მოწესრიგებული, გამართულად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა ერთ-ერთი პირობაა ეფექტიანი საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისათვის.

საგადასახადო სისტემა წარმოგვიდგება საზოგადოების ეკონომიკური წყობის მნიშვნელოვან ელემენტად და ასახავს სახელმწიფოს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს. მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მოდელიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ და სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებამ დღის წესრიგში დააყენა ავტონომიური საგადასახადო სისტემის ფორმირების საკითხი. ახალი საგადასახადო სისტემის შექმნა, დაწყებული 1990-1992 წლებში, წააწყდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის რიგ პრობლემებს. თეორიული სიმწელები განპირობებული იყო იმით, რომ გადასახადების შესწავლის სამამულო გამოცდილება ფაქტიურად შეზღუდული იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდით. რაც შეეხება საზღვარგარეთის გამოცდილებას, მთელი მისი ღირებულების მიუხედავად, პირდაპირ სრულად გადმოღების შესაძლებლობანი შეზღუდული იყო და ეს უკავშირდებოდა ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავებას, სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციით და მოსახლეობის აზროვნებისა და ყოფაცხოვრების ისტორიულ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით. პრაქტიკული სირთულეები გამოწვეულია მეურნეობისა და მართვის სისტემის ძირეული გარდაქმნით. შეიძლება ითქვას, რომ მთელი განვლილი პერიოდი ამ თვალსაზრისით წარმოადგენს განუწყვეტელი საგადასახადო რეფორმების პერიოდს, რაც

გარკვეულწილად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს წარმოების განვითარებაზე, საინვესტიციო კლიმატზე, კერძო მეწარმეობაზე.

თანამედროვე საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და სტრუქტურის პრინციპები ძირითადად შეესაბამება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე წამყვანი ქვეყნების (აშშ, გერმანია, საფრანგეთი და სხვა) საგადასახადო სისტემებს, მაგრამ საგადასახადო სისტემის ფორმირებაში ამოსავალი წერტილი, განმსაზღვრელი უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა და განვითარების სტრატეგიული ინტერესები, რომელიც მოითხოვს ეროვნული ეკონომიკის მხარდაჭერას საშინაო და მსოფლიო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების სფეროში. საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა, რომ მხოლოდ ეკონომიკური პოტენციალის ზრდას შეუძლია დასაბეგრი საგადასახადო ბაზის გაზრდა.

სწორედ ამასთან დაკავშირებით საგადასახადო დაბეგვრის, როგორც ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების ინსტრუმენტის, სრულყოფისა და განვითარების პრობლემა არის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში. ძირითადში ეს ეხება არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრას. ამდენად, აღნიშნული მოითხოვს შესწავლილი და გაანალიზებული იქნას სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება, მეცნიერ-ეკონომისტთა და პრაქტიკოსთა შეხედულებები, თეორიები, წინადადებები.

საქართველოს საგადასახადო სისტემის გადასახადების სტრუქტურა საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების დღიდან გამუდმებით განიცდიდა ცვლილებებს და თვისობრივად ახლებურად ყალიბდება. საზოგადოდ ცნობილია, რომ რაციონალური საგადასახადო სისტემის ფორმულირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი, საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი მეწარმეთათვის, მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს. არ შეიძლება უგულებელყოფა იმისა, რომ გადასახადები განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერკეტი და მისი თეორიულ-მეცნიერული არგუმენტების გარეშე, მექანიკური გამოყენებით სუსტდება ფინანსები, ფული და საერთოდ ეკონომიკა. იგი ხდება წარმოებისა და საბოლოო ჯამში კი ეკონომიკის დამამუხრუჭებელი ფაქტორი. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სწორედ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული

პირველი საგადასახადო კოდექსი (1997წ.) საქართველოში შექმნილ სიტუაციას არანაირად არ ასახავდა, როცა საქართველოში ქვეყნის მთავრობა ვერ აკონტროლებდა ქვეყნის მთელ ტერიტორიას (კონტრაბანდული საქონლის შემოდინების არხებით). აღნიშნულს თან დაერთო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ძალისხმევით რამდენიმე წლის განმავლობაში საგადასახადო კოდექსში შეტანილი მრავალი ცვლილება და დამატება, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ეს – ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი სრულიად არეულ–დარეულ და კორუფციის ხელშემწყობ დოკუმენტად გადააქცია. საქართველოს საგადასახადო სისტემა სხვადასხვა სახის გადასახდებს მოიცავს. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს. საქონლის მფლობელს ბიუჯეტში მისი რეალიზაციიდან მიღებული გადასახადი შეაქვს (დაბეგვრის პირდაპირი ფორმა). ამ ნიშნით გადასახადების კლასიფიკაცია რამდენადმე რთულია იმის გამო, რომ კორპორაციებზე დაკისრებული გადასახადები ფორმალურად პირდაპირია, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილი ფასში შეიტანება და მომხმარებელს ამ გზით გადაეკისრება. საქართველოს საგადასახადო სისტემაში, სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების გაფართოების პირობებში, სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სოციალური დაზღვევის მიზნობრივ შენატანებს, რაც ქმნიდა – სოციალური დაზღვევის, დასაქმებისა და სამედიცინო დაზღვევის სპეციალურ ფონდებს, ისინი თავისი არსით მიზნობრივ გადასახადებს წარმოადგენდნენ. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ფონდი, ცალკეულ სახეებად იყოფა, იმის მიხედვით, ვინ არის გადასახადის ამომღები და მიღებული შემოსავლების განმკარგულებელი. ასევე, არჩევენ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს. გადასახადები, მათი გამოყენების მიხედვით, შეიძლება დაიყოს: საერთო და სოციალურ (მიზნობრივ) გადასახადებად. საერთო გადასახადი წარმოადგენს ზოგად გადასახადს და სახელმწიფო ხაზინაში შედის. სოციალურ (მიზნობრივ) გადასახადებს გარკვეული მიზნობრივი დანიშნულება გააჩნიათ და უპირატესად სხვადასხვა ბიუჯეტგარეშე ფონდებში ჩაირიცხება. მაგალითად, აშშ-ში შემოღებულია ბენზინისა და სათბობის გადასახადი, მიღებული შემოსავალი საგზაო ფონდში შედის. ანალოგიურია ნავთობის კომპანიების გადასახადი და სხვა. ამგვარად, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები, ასევე, სოციალური

დაზღვევის შენატანები წარმოადგენენ ძირითად წყაროებს, რომლითაც მოსახლეობის ფულადი რესურსების ნაწილი ხაზინისაკენ მიემართება. 2004 წლის დასაწყისიდან საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზულ მუშაობა ჩაატარა საგადასახადო დაგეგმვის სრულყოფის მიმართულებით. ასევე, განხორციელდა საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფის რეალური ღონისძიებები, დაიხვეწა საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების პროცესი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის ლეგალიზაციას და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვნად გაზრდის უმთავრესი პირობა გახდა. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობას ენიჭება. როგორც უკვე ავლნიშნეთ, არაპირდაპირი გადასახადები ძირითადად განვითარებადი და ნაკლებად განვითარებადი ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი. იგი ფისკალურად გაცილებით ეფექტურია: შედარებით ნაკლებ ადმინისტრირებას საჭიროებს, ბიუჯეტში რეგულარულად მიიღება, მაგრამ სოციალურად არასამართლიანია, გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობისა და მათი კეთილდღეობის ხარჯზე იზრდება.

ა) დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), საერთო-სახელმწიფოებრივი, არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც წარმოადგენს საქონლის/მომსახურების, წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას.

თანამედროვე საგადასახადო სისტემაში დღგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია. მისი აკრეფის სქემა პირველად ფრანგმა ეკონომისტმა მორის ლორემ შეიმუშავა 1954 წელს, ხოლო საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში 1958 წლიდან შემოიღეს. ამჟამად დღგ შემოღებულია დაახლოებით 137 სახელმწიფოში, თუმცა განვითარებული ქვეყნებიდან მათში არ შედის აშშ და იაპონია, სადაც დღგ-ის ნაცვლად მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3%-დან15%-მდე).

პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად.

დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გადამხდელად ითვლება:

ა) პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;

ბ) პირი, რომელიც ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად; გ) პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

დ) არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

ე) პირი, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ახორციელებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორის საკუთრებაში გადაცემას მხოლოდ ამ ოპერაციაზე და ექვემდებარება უკუდა-ბეგვრას, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;

ვ) პირი, რომლის საქონლის რეალიზაციაც ხდება საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით, მხოლოდ ამ ოპერაციაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე.

სავალდებულო რეგისტრაცია ეკუთვნის:

1. პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს

ა) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

ბ) დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

2. პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

3. პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ის გადახდისაგან, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

4. თუ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს, პირი:

ა) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

ბ) დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ ერთჯერადი ოპერაციის ან ერთ დღეში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

5. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი, თუ რეორგანიზაციის ერთ-ერთი მხარე არის დღგ-ის გადამხდელი, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი

ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

6. დღგ-ის გადამხდელი პარტნიორისაგან/წევრისაგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში საწარმო/ამხანაგობა ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.
7. დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას საგადასახადო ორგანო ატარებს ამ პირს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. ამასთანავე, პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.
8. სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება:
 - ა) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;
 - ბ) ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები.
 - გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის – ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.
9. დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, მისი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

ნებაყოფლობითი რეგისტრაცია :

პირს შეუძლია ნებაყოფლობით გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. იგი დღგ-ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს სავალდებულო რეგისტრაციისთვის განსაზღვრული ვადისა. ერთი მხრივ, თუ განსაზღვრულ შემთხვევებში კანონი პირს იმპერატიულად აკისრებს დღგ-ის გადამხდელად

რეგისტრაციის მიზნით საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის ვალდებულებას, მეორე მხრივ, ის მას უფლებას აძლევს ნებაყოფლობით მიმართოს საგადასახადო ორგანოს იმავე მიზნით. მიმართვის უფლების არსებობა გულისხმობს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი ვალდებულების არსებობასაც. პირს ნებისმიერ მომენტში შეუძლია განახორციელოს ამ მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება, ხოლო საგადასახადო ორგანო კი ვალდებულია პირი გაატაროს რეგისტრაციაში. პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვის დღიდან და, შესაბამისად, ამ დღიდან დაწყებული, პირი ვალდებულია დღგ-ით დაბეგროს მის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციები. არის გამონაკლისიც. ეს ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირმა ნებაყოფლობით კი მიმართა საგადასახადო ორგანოს, მაგრამ მას თურმე კანონით ევალებოდა ადრე მიემართა მისთვის.

რეგისტრაციის გაუქმება

1. დღგ-ის გადამხდელის, მათ შორის, საქართველოში არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია:
 - ა) საწარმოს/ორგანიზაციის ლიკვიდაცია;
 - ბ) ფიზიკური პირის გარდაცვალება;
 - გ) გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვა ან საგადასახადო ორგანოს მიმართვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის თანხმობა.
2. თუ გადასახადის გადამხდელის მიერ ბოლო 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა დღგ-ის გარეშე არ აღემატება 100 000 ლარს და მისი დღგ-ის გადამხდელად უკანასკნელი რეგისტრაციის თარიღიდან გასულია 1 წელი:
 - ა) გადასახადის გადამხდელს შეუძლია მიმართოს შესაბამის საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით;
 - ბ) საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, წერილობით მიმართოს დღგ-ის გადამხდელს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე და მისი თანხმობის შემთხვევაში გაუუქმოს რეგისტრაცია.

3. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია უქმდება:
- ა) ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სახელმწიფო/სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების თარიღიდან;
 - ბ) ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის გარდაცვალების თარიღიდან;
 - გ) ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გადასახადის გადამხდელის წერილობითი მიმართვის/თანხმობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.
4. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.
- კანონი ცალსახად განსაზღვრავს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევებს, რაც წარმოშობს საგადასახადო ორგანოს შესაბამის ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება წარმოიქმნება პირის ლიკვიდაცია/გარდაცვალებით ან პირის/საგადასახადო ორგანოს მიერ კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებისას. ამ უკანასკნელის (უფლების) წარმოქმნას კი, თავის მხრივ, კანონით ასევე მკაცრად განსაზღვრული წინა პირობების შესრულება უდევს საფუძვლად.

დაბეგვრის ობიექტი:

- ა) დასაბეგრი ოპერაცია;
- ბ) იმპორტი;
- გ) ექსპორტი, რეექსპორტი;
- დ) დროებითი შემოტანა.

დღგ, როგორც პროდუქციის შემქმენი საბოლოო მომხმარებლის ტვირთი, წარმოიქმნება ნაბიჯ-ნაბიჯ, მისი წარმოებისა და განაწილების თანამიმდევრულ სტადიებზე, როგორც დასაბეგრი ოპერაციების შედეგი. ზოგიერთი დასაბეგრი ოპერაციის პირველი სტადია შეიძლება იყოს უცხოური საქონლის (მომსახურების) საქართველოში შემოტანა, რომელიც ასევე მონაწილეობს საბოლოო მომხმარებლისათვის დაბეგვრის ტვირთის

ფორმირებაში, ანუ იმპორტი, საქონლის შემთხვევისას, და დასაბეგრი ოპერაცია, ე.წ. „იმპორტირებული“ მომსახურებისას. რაც შეეხება ექსპორტს, რეექსპორტსა და დროებით შემოტანას, მათი დღგ-ით დაბეგვრის ობიექტად განხილვა, გარდა წმინდა თეორიული ასპექტებისა, რეალურად წარმოადგენს როგორც ქართული პროდუქციის უცხოეთში რეალიზაციის, ასევე – უცხოური საქონლისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების ხელშემწყობ ინსტრუმენტებს.

გადასახადისაგან გათავისუფლება და მისი გამოყენების წესი:

1. დღგ-ისგან გათავისუფლება არსებობს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე.
2. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლებით გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და გამოიყენება ჩათვლის უფლება.
3. ოპერაციის გათავისუფლება ჩათვლის უფლების გარეშე გულისხმობს, რომ ოპერაცია არ ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას (არ იბეგრება) და არ გამოიყენება ჩათვლის უფლება.
4. გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, დასაბეგრი ოპერაციების მიმართ არ გამოიყენოს ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლება, რაც გულისხმობს, რომ დასაბეგრი ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ის დარიცხვას და მიიღება ჩათვლა.
5. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული უფლების გამოყენება გადასახადის გადამხდელს შეუძლია:
 - ა) საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგი საანგარი-შო პერიოდის პირველი რიცხვიდან;
 - ბ) უფლების გამოყენების დღიდან 12 თვის განმავლობაში, ყველა დასაბეგრი ოპერაციის მიმართ.
6. ამ მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული უფლების გამოყენების შემთხვევაში:
 - ა) საგადასახადო ორგანო ვალდებულია გადასახადის გადამხდელი გაატაროს რეგისტრაციაში;

ბ) გადასახადის გადამხდელი ვალდებულია დაბეგროს გათავისუფლებული ოპერაციები და ამ კარის მიზნებისათვის ასეთი ოპერაციები აღარ ითვლება ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციად.

7. დღგ-ისგან გათავისუფლების გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

დღგ-ის განაკვეთები:

ა) დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს;

ბ) საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 0.54 პროცენტს ამ საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე, მაგრამ არა უმეტეს საქონლის დროებითი შემოტანისას დროებითი შემოტანის თანხის 18 პროცენტისა;

გ) უკუდაბეგვრის წესით დასაბეგრი ოპერაციის თანხის 18 პროცენტს.

დეკლარაციის წარდგენა და დღგ-ის გადახდა:

1. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.

2. საქონლის დროებითი შემოტანისას დარიცხული დღგ-ის თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს. 3. პირი, რომელიც დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ საქონლის იმპორტზე, გადასახადს იხდის საქონლის იმპორტის განხორციელების დროს.

4. უკუდაბეგვრისას საგადასახადო აგენტი ვალდებულია დარიცხული დღგ-ის თანხა გადაიხადოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

ინსტრუქციით დადგენილი ფორმითა და წესით დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს დეკლარაცია წარუდგინოს საანგარიშო პერიოდის შემდგომი კალენდარული თვის 15 რიცხვამდე (ჩათვლით). პირმა გადასახადის თანხაც იმავე ვადებში უნდა გადაიხადოს, რა ვადებიც დადგენილია დეკლარაციის წარდგენისათვის. არ არის აუცილებელი, დეკლარაციის წარდგენისა და გადასახადის გადახდის მომენტები ერთმანეთს ემთხვეოდეს. დღგ გადახდილ უნდა იქნეს როგორც სხვაობის თანხა: კუთვნილი დღგ მინუს ჩასათვლელი დღგ. პირს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი კუთვნილი გადასახადია არა სხვაობის თანხა, არამედ – მის დასაბეგრ ბრუნვაზე დარიცხული დღგ. ზოგჯერ პირი ვალდებულია გადაიხადოს სხვა პირის (არარეზიდენტის) კუთვნილი დღგ. ასეთ შემთხვევაში პირი წარმოდგება როგორც ამ სხვა პირის საგადასახადო აგენტი, რომელიც უკუდაბეგრის წესით ასრულებს თავის მოვალეობას. ამ მოვალეობის შესასრულებლად ის ვალდებულია დადგენილი ფორმითა და წესით საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაანგარიშება და გადაიხადოს არარეზიდენტის კუთვნილი გადასახადი. ეს ვალდებულებები საგადასახადო აგენტმა უნდა შეასრულოს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე (ჩათვლით). აღსანიშნავია, რომ უკუდაბეგრის გზით გადასახდელი დღგ პირმა შეიძლება გადაიხადოს სხვა გადასახადებში, მათ შორის, დღგ-ში, არსებული ე.წ. „ზედმეტობის“ გამოყენებითაც.

დღგ-ის ჩათვლა:

1. დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.
2. ჩათვლის დოკუმენტებია:
 - ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
 - ბ) სასაქონლო დეკლარაცია;
 - გ) უკუდაბეგრისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამა- დასტურებელი დოკუმენტი;

დ) დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელთა მიერ გაწეული მომსახურების ტარიფები დადგენილია დღგ-ის ჩათვლით, საქართველოს კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ჩათვლის უფლება აქვს მხოლოდ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. თავის მხრივ კი, ჩათვლა გულისხმობს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი თანხის მხოლოდ შემცირებას ან ბიუჯეტიდან მის მიღებას.

დღესდღეისობით პრაქტიკაში გამოიყენება დღგ-ს შემდეგი განაკვეთები :

დღგ-ს განაკვეთები	ყიდვა	გაყიდვა	შედეგი
18%-იანი განაკვეთი	დ. საქ./მოშ. (1000) დ. 3340 - გადახდილი დღგ (180) კ. 3110 - მომწოდებელი (1180)	დ. 1410 - მყიდველი (2360) კ. 3330 - გადასახდელი დღგ (360) კ. 6110 - შემოსავალი რეალიზაციიდან (2000)	360-180=180 (ბიუჯეტში გადასახდელია 180 ლარი)
ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული (მუხლი 168.1-3)	დ. საქ./მოშ. (1180) დ. 3340 - გადახდილი დღგ (0) კ. 3110 - მომწოდებელი (1180)	დ. 1410 - მყიდველი (2360) კ. 3330 - გადასახდელი დღგ (0) კ. 6110 - შემოსავალი რეალიზაციიდან (2360)	0-0=0 (ბიუჯეტში არარაფერია გადასახდელი)
ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული (მუხლი 168.4-5) - <i>ნულოვანი</i>	დ. საქ./მოშ. (1000) დ. 3340 - გადახდილი დღგ (180) კ. 3110 - მომწოდებელი (1180)	დ. 1410 - მყიდველი (2000) კ. 3330 - გადასახდელი დღგ (0) კ. 6110 - შემოსავალი რეალიზაციიდან (2000)	0-180=-180 (ბიუჯეტში არის აქტივი 180 ლარი)

ბ) იმპორტის გადასახადი

იმპორტის გადასახადი არის არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ემატება საბაჟო ღირებულებას განაკვეთის სახით.

გადასახადის გადამხდელი:

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა.

დაბეგვრის ობიექტი:

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის სატარიფო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

იმპორტის გადასახადის განაკვეთები:

იმპორტის გადასახადის 12-პროცენტოანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის სატარიფო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (<i>Gallus domesticus</i>), იხვეები, ბატები, ინდაურები და ციცრები
2	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული
3	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4	0204	ხორცი ცხენების ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
5	0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული
6	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული
7	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული

8	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული
9	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შებოლილი; საკვები ფქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
10	0401 10 100 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
11	0401 20 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
12	0401 20 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
13	0401 30 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
14	0401 30 310 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
15	0401 30 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
16	0402 10 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
17	0402 10 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
18	0402 21 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
19	0402 21 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
20	0402 29 150 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
21	0402 29 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
22	0402 91 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23	0402 91 310 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24	0402 91 510 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25	0402 91 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26	0402 99 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27	0402 99 310 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28	0402 99 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა

29	0403	დო, აჭრილი რძე და ნალები, იოგურტი, კეფირი და სხვა ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნალები, შესქელებული ან შეუსქელებელი, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე
30	0407 00	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
31	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულეები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდულარე წყალში მოხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
32	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
33	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
34	0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
35	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
36	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
37	0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
38	0706	სტაფილო, თაღამი, სუფრის ქარხალი, თხისწვერა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
39	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი ან გაცივებული
40	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული
41	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
42	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
43	0711	დაკონსერვებული ბოსტნეული, ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდიან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
44	0712 20 000 00	- თავიანი ხახვი
45	0712 31 000 00	- - Agaricus გვარის სოკოები
46	0712 32 000 00	- - ხის სოკო ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
47	0712 33 000 00	- - საფუარი სოკოები (Tremella spp.)

48	0712 39 000 00	- - დანარჩენი
49	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრეული ან დაუმტვრეველი
50	0714	მანიოკი, მარანთა, სალუპი, მიწის მსხალი ანუ ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულეების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
51	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცლილი ან ნაჭუჭგაუცლელი, კანით ან კანის გარეშე
52	0803 00	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
53	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
54	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი
55	0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
56	0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი
57	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ლოღნოშო, ახალი
58	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
59	0811	ხილი და კაკალი, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
60	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილწყალში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერვებელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
61	0813	ხილი ხმელი, 0801-0806 სასაქონლო პოზიციების ნაყოფების გარდა; მოცემული ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარევები
62	0902	ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე
63	1101 00	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი
64	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარდა ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა
65	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვა ფქვილი და მარცვლოვნების მარცვლის გრანულები
66	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად ნაფქვა ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები

67	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან
68	1108	სახამებელი; ინულინი
69	1109 00 000 00	ხორბლის ნებოვანა, მშრალი ან ტენიანი
70	1512 19 900 00	- - - დანარჩენი
71	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
72	1602 10 00	- პომოგენიზებული მზა პროდუქტები
73	1602 20	- ნებისმიერი ცხოველის ღვიძლისაგან
74	1602 31	- - ინდაურის
75	1602 32	- - შინაური ქათმის (<i>Gallus domesticus</i>)
76	1602 39	- - დანარჩენი
77	1602 41	- - ბარკლები და მათი გადანაჭრები
78	1602 42	- - ბეჭის ნაწილი და მისი გადანაჭრები
79	1602 49	- - დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
80	1602 50	- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
81	1701 12	- - ჭარხლის შაქარი
82	1701 91 000 00	- - საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
83	1701 99	- - დანარჩენი
84	1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი
85	1703	მელასა, შაქრის ამოღებით ან რაფინირების შედეგად მიღებული
86	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომელიც არ შეიცავს კაკოს
87	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
88	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკალი და მცენარეთა საკვებად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრის ან ძმარმჟავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული
89	2002	პომიდორი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
90	2003	სოკო და ტრიუფელი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული

91	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
92	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
93	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაჟღენთილი, მოსარკლული ან დაშაქრული)
94	2007	ჯემი, ხილის ყელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით
95	2008 19	- - დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
96	2008 20	- ანანასი
97	2008 30	- ციტრუსები
98	2008 40	- მსხალი
99	2008 50	- გარგარი
100	2008 60	- ალუბალი და ბალი
101	2008 70	- ატამი, ნექტარინების ჩათვლით
102	2008 80	- მარწყვი და ხენდრო
103	2008 91 000 00	- - პალმის გული
104	2008 92	- - ნარევები
105	2008 99	- - დანარჩენი
106	2009	ხილის ნვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის ნვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
107	2101	ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები და მათ ფუძეზე ან ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ფუძეზე დამზადებული მზა პროდუქტები; მოხალული ვარდკაჭაჭა და სხვა მოხალული ყავის შემცვლელები და მათი ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები
108	2103	პროდუქტები სანებლების მოსამზადებლად და მზა სანებლები; საგემოვნო დანამატები და შერეული საკაზმები; მდოგვის ფხენილი და მზა მდოგვი
109	2106 90	- დანარჩენი
110	2201 10 190 09	- - - - დანარჩენი
111	2201 10 900 00	- - დანარჩენი

112	2201 90 000 09	- - - დანარჩენი
113	2201 90 000 99	- - დანარჩენი
114	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის ან სხვა დამატკობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა
115	2203 00	ალაოს ლუდი
116	2302 10	- სიმინდის
117	2302 30	- ხორბლის
118	2302 40	- დანარჩენი მარცვლოვნების
119	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები
120	25	მარილი; გოგირდი; მინები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
121	3402	ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები (საპნის გარდა); ზედაპირულად აქტიური საშუალებები, სარეცხი საშუალებები (დამხმარე სარეცხი საშუალებების ჩათვლით) და სანმენდი საშუალებები, საპნის შემცველი ან მის გარეშე (3401 სასაქონლო პოზიციის საშუალებების გარდა)
122	3918	პლასტმასის იატაკის საფრები, თვითნებვადი ან არათვითნებვადი, რულონებად ან ფირფიტებად; პლასტმასის საფრები კედლებისა და ჭერებისათვის, მოცემული ჯგუფის მე-9 შენიშვნაში მითითებული
123	3922	აბაზანები, შხაპები, წყლის ჩასადინარი ნიჟარები, პირსაბანი ნიჟარები, ბიდეები, უნიტაზები, დასაჯდომები და სახურავები მათთვის, წყალჩასაშვები ავზაკები და ანალოგიური სანიტარიულ-ტექნიკური ნაწარმი, პლასტმასისაგან
124	3923	პლასტმასის ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან შეფუთვისათვის; პლასტმასის საცობები, ხუფები, თაღფაქები და სხვა საცობი ნაწარმი
125	3924	სასადილო და სამზარეულო ჭურჭელი და სამზარეულოს საკუთნოები, დანარჩენი საოჯახო ნივთები და პიგიენის ან ტუალეტის საგნები, პლასტმასისაგან
126	3925 20 000 00	- კარები და ზღურბლები მათთვის, ფანჯრები და მათი ჩარჩოები
127	3925 30 000 00	- დარაბები, შტორები (ვენეციური ფალუზების ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი და მათი ნაწილები
128	3925 90	- დანარჩენი
129	3926 90	- დანარჩენი
130	4407	ხეტყის მასალა, გასწვრივ დახერხილი ან დაპობილი, შრეებად გაყოფილი ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით 6 მმ-ზე მეტი

131	4408	მოსაპირკეთებელი ფურცლები (შერეული მერქნის დაყოფით მიღებულის ჩათვლით), შენებებული ფანერისათვის ან სხვა ანალოგიური შერეული მერქნისათვის, და სხვა ხის მასალა, გასწვრივ დახერხილი, დაჭრილი ნაწილებად ან შპონახდილი, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე, სისქით არა უმეტეს 6 მმ-ისა
132	4409	დახერხილი ხეტყე (პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით, აუნყობელი) დაპროფილებული პაგონაჟის სახით (ქიმებით, თხემებით, ლარებით, ნარანდიანი, ჩამოთლილი კიდეებით, ნახევრად მომრგვალებული ნარიმანდის შეერთების სახით, ფასონური, მომრგვალებული ან ანალოგიური) ნებისმიერი ნაწიბურის ტორსის ან სიბრტყის გასწვრივ, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან მის გარეშე
133	4413 00 000 00	მერქანი დანწეხილი, ბლოკების, ფილების, ძელების ან დაპროფილებული ფორმების სახით
134	4418	ნაწარმი სადურგლო და სახუროო ხის, სამშენებლო, უჯრედოვანი ხის პანელების, ანყობილი ფილა-პარკეტის, სოლყავრისა და სახურავის ყავრის ჩათვლით
135	4420	ხის ნაწარმი მოზაიკური და ინკრუსტირებული; ზარდახშები და კოლოფები საიუველირო ან დანისებრი და ანალოგიური ნაწარმისათვის, ხის; სტატუეტები და სხვა დეკორატიული ნაწარმი, ხის; ავეჯის ხის საგნები, 94-ე ჯგუფში მიუთითებული
136	4421	სხვა ნაწარმი, დანარჩენი
137	6801 00 000 00	ძელურა, ბორდიურის ქვეები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქლისა)
138	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქლისა) ძეგლებისათვის ან მშენებლობისათვის და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუძეზე ან ფუძის გარეშე; ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) გრანულები, ნაფხვენი და ფხვნილი, ხელოვნურად შეღებილი
139	6804	დოლაბები, სალესი ქვები, სახეხი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, სალესად, საპრიალებლად, მოსარგებად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით სალესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვის, აგლომერირებული ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზივების ან კერამიკისაგან, სხვა მასალების დეტალებთან ანყობილი ან ამ დეტალების გარეშე
140	6805	ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული ფხვნილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ, ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ, ან დაუმუშავებელ ქსოვილის, ქალაღდის, მუყაოს ან სხვა ფუძეზე

141	6806	ნიდის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული ნიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროდუქტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათშთანმთქმელი მინერალური მასალების ნარევეები და ნანარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციის ან 69-ე ჯგუფის ნანარმისა
142	6807	ნანარმი ასფალტის ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად, ნავთობის ბიტუმის ან ქვანახშირის სქელფისისაგან)
143	6808 00 000 00	პანელები, ფილები, ბლოკები და ანალოგიური ნანარმი ცემენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემკვრელი ნივთიერებებით აგლომერირებული მცენარეული ბოჭკოების, ჩალის, ბურბუშელას, ნაფოტის, ნანილაკების, ნახერხის ან ხეტყის სხვა ნარჩენებისაგან
144	6809	ნანარმი თაბაშირის ან მის ფუძეზე დამზადებული ნარევებისაგან
145	6810	ცემენტის, ბეტონის ან ხელოვნური ქვის ნანარმი, დაარმატურებული ან დაუარმატურებელი
146	6811	ნანარმი აზბესტცემენტის, ცელულოზისბოჭკოებიანი ცემენტის ან ანალოგიური მასალებისაგან
147	6812 91 000 00	- ტანსაცმელი, ტანსაცმლის საკუთნოები, ფეხსაცმელი და თავსაბურავები
148	6812 92 000 00	- ქალაღდი, სქელი მუყაო და ქეჩა ან ფეტრი
149	6812 93 000 00	- - შემამჭიდროებელი მასალა წნეხილი აზბესტის ბოჭკოსაგან, ფურცლებად ან რულონებად
150	6815	ნანარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან (ნახშირბადიანი ბოჭკოების, ნახშირბადიანი ბოჭკოების ნანარმისა და ტორფის ნანარმის ჩათვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
151	6902 10 000 00	- Mg, Ca ან Cr ელემენტების შემცველობით 50 მას.%-ზე მეტი ცალ-ცალკე ან ერთად აღებული, MgO, CaO ან Cr ₂ O ₃ -ზე გადაანგარიშებით
152	6902 20 100 00	- - კაჟმინის (SiO ₂) შემცველობით 93 მას.% ან მეტი
153	6902 20 910 00	- - - თიხამინის (Al ₂ O ₃) შემცველობით 7 მას.%-ზე მეტი, მაგრამ 45 მას.%-ზე ნაკლები
154	6902 20 990 00	- - - დანარჩენი
155	6902 90 000 00	- დანარჩენი
156	7113	საიუველირო ნაკეთობები და მათი ნაწილები ძვირფასი ლითონებისაგან ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონებისაგან
157	7115 90 100 00	- - ძვირფასი ლითონებისაგან
158	7116	ნაკეთობები ბუნებრივი ან კულტივირებული მარგალიტის, ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან (ბუნებრივი, ხელოვნური ან რეკონსტრუირებული)

159	7117	ბიჟუტერია
160	7308 10 000 00	- ხიდები და ხიდების სექციები
161	7308 40	- დანადგარები და სხვა მოწყობილობა ლითონური სამშენებლო ხარაჩოების, ყალიბების, კედლის საბჯენების ან შახტის სამაგრებისათვის
162	7308 90	- დანარჩენი
163	7309 00 100 00	- აირებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა)
164	7309 00 300 00	- - მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით
165	7309 00 590 00	- - - არა უმეტეს 100 000 ლიტრისა
166	7309 00 900 00	- მყარი ნივთიერებებისათვის
167	7310	ცისტერნები, კასრები, დოლები, კანისტრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა), არა უმეტეს 300 ლიტრი ტევადობისა, მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების გარეშე
168	7311 00	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის, შავი ლითონებისაგან
169	7314	ლითონური ქსოვილი (უნყვეტი ლენტების ჩათვლით), მავთულის გისოსები, ბადეები და შემოსაღობები შავი ლითონებისაგან; გამცრავე-გამწოვი ფურცელი შავი ლითონებისაგან
170	7315	ჯაჭვები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
171	7318	ხრახნები, ქანჭიკები, ქანჩები, ყრუ ქანჭიკები, ჩასახრახნი კაკვები, მოქლონები, სოგმანები, ქილიპყურები, საყელურები (ზამბაროვანის ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან
172	7320	ზამბარები, რესორები და ფურცლები მათთვის შავი ლითონებისაგან
173	7321	ლუმლები გასათბობი, ლუმლები გასათბობ-სახარშავი და საკვების მოსამზადებელი (ცენტრალური გათბობის დამხმარე ქვაბიანი ლუმლების ჩათვლით), ფრიტურნიცები, მაყალები, ქურის სანთურები, საკვების გასათბობი გამათბობლები და ანალოგიური საყოფაცხოვრებო არაელექტრული მოწყობილობები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
174	7323	ნაწარმი სუფრის, სამზარეულო ან სხვა ნაწარმი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან; „მატყლი“ შავი ლითონებისაგან; სამზარეულო ჭურჭლის სანმენდი ნეჭა, გასანმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმანები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან

იმპორტის გადასახადის 5-პროცენტის განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის სატარიფო ღირებულება:

№	კოდი	საქონლის დასახელება
1	0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
2	0406	ყველი და ხაჭო
3	1806 31 000 00	- - გულსართით
4	1806 32	- - გულსართის გარეშე
5	1806 90	- დანარჩენი
6	3305	თმის საშუალებები
7	3307	საშუალებები, პარსვამდე, პარსვის დროს ან პარსვის შემდეგ გამოსაყენებელი, ინდივიდუალური დანიშნულების დეზოდორანტები, შედგენილობები აბაზანის მისაღებად, თმების მოსაცილებელი და სხვა საპარფიუმერიო, კოსმეტიკური ან ტუალეტის საშუალებები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; დეზოდორანტები სათავსებისათვის, არომატიზებული ან არაარომატიზებული, მადეზინფიცირებელი თვისების მქონე ან არმქონე
8	3401	საპონი; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და საშუალებები, გამოსაყენებელი საპნად, ძელაკების, ნაჭრების ან დაყალიბებული ნაწარმის სახით, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და კანის დასაბანი საშუალებები სითხის ან კრემის სახით, დაფასობული საცალო ვაჭრობისათვის, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ქალაღდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით
9	3405	ვაქსები და საცხები ფეხსაცმლისათვის, პოლიროლები და მასტიკები ავეჯის, იატაკის, ავტომობილების ძარების, მიწის ან ლითონებისათვის, სანმენდი პასტები და ფხვნილები და ანალოგიური საშუალებები (მათ შორის, ქალაღდი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი, უქსოვადი მასალები, ფორიანი პლასტმასები ან ფორიანი რეზინი, გაჟღენთილი ან დაფარული ასეთი საშუალებებით), 3404 სასაქონლო პოზიციის ცვილების გარდა
10	3916	პლასტმასის მონოძაფი 1 მმ-ზე მეტი განივკვეთით, ნნელები, ლერძები და ფასონური პროფილები, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
11	3917 10	- ხელოვნური გარსაცმები (ძეხვეულის ნაწარმისათვის) გამყარებული პროტეინებისაგან ან ცელულოზის მასალებისაგან

12	3917 21 100 00	- - - უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
13	3917 21 990 00	- - - - დანარჩენი
14	3917 22 100 00	- - - უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
15	3917 22 990 00	- - - - დანარჩენი
16	3917 23 100 00	- - - უნაწიბურო და დაჭრილი ნაჭრებად, რომელთა სიგრძე აღემატება განივკვეთის მაქსიმალურ ზომას, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
17	3917 23 990 00	- - - - დანარჩენი
18	3917 29 120 00	- - - - ქიმიურად მოდიფიცირებული ან არამოდიფიცირებული კონდენსაციის პროდუქტებისაგან ან პოლიმერიზაციის პროდუქტებისაგან გადაჯგუფებით
19	3917 29 150 00	- - - - პოლიმერთების პროდუქტებისაგან
20	3917 29 190 00	- - - - დანარჩენი
21	3917 29 990 00	- - - - დანარჩენი
22	3917 31 900 00	- - - დანარჩენი
23	3917 32	- - დანარჩენი, დაუარმატურებელი ან სხვა მასალებთან არაკომბინირებული, უფიტინგებოდ
24	3917 33 900 00	- - - დანარჩენი
25	3917 39 120 00	- - - - ქიმიურად მოდიფიცირებული ან არამოდიფიცირებული კონდენსაციის პროდუქტებისაგან ან პოლიმერიზაციის პროდუქტებისაგან გადაჯგუფებით
26	3917 39 150 00	- - - - პოლიმერთების პროდუქტებისაგან
27	3917 39 190 00	- - - - დანარჩენი
28	3917 39 990 00	- - - - დანარჩენი
29	3917 40 900 00	- - დანარჩენი
30	3919	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, კილიტა, ლენტები, ზოლები და დანარჩენი ბრტყელი ფორმები, თვითნებვადი, რულონებად ან არარულონებად
31	3920	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები და ზოლები ან ლენტები, დანარჩენი, უფორებო და დაუარმატურებელი, არაშრეული, ფუძეშრის გარეშე და სხვა მასალებთან ანალოგიური ნესით შეუერთებული

32	3921	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, ზოლები ან ლენტები, დანარჩენი
33	3925 10 000 00	- რეზერვუარები, ცისტერნები, ავზები და ანალოგიური ტევადობები მოცულობით 300 ლიტრზე მეტი
34	3926 10 000 00	- საკანცელარიო ან სასკოლო ნივთები
35	3926 20 000 00	- ტანსაცმელი და მისი საკუთნოები (ხელთათმანების, ხელჯაგებისა და თათმანების ჩათვლით)
36	3926 30 000 00	- სამაგრი ნაკეთობები და ფურნიტურა ავეჯისათვის, სატრანსპორტო საშუალებებისათვის ან ანალოგიური ნაწარმი
37	3926 40 000 00	- ქანდაკებები და სხვა დეკორატიული ნაწარმი
38	7308 20 000 00	- ბჯენები და ცხაური ანძები
39	7308 30 000 00	- კარები, ფანჯრები და მათი ჩარჩოები და ზღურბლები კარებისათვის
40	8544 11	-- სპილენძის
41	8544 19	-- დანარჩენი
42	8544 20 000 00	- კოაქსიალური კაბელები და სხვა კოაქსიალური ელექტრული გამტარები
43	8544 30 900 00	-- დანარჩენი

ამ ნაწილში აღნიშნული საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთებით (euro/%vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე) გადასახდელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე):

№	კოდი	საქონლის დასახელება	იმპორტის გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	- ღვინოები ცქრიალა	1,5 euro/lit
2	2204 21	-- 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
3	2204 29	-- დანარჩენი	0,2 euro/lit
4	2204 30	- ყურძნის ტკბილი, დანარჩენი	0,2 euro/lit
5	2205 10	- 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
6	2205 90	- დანარჩენი	0,2 euro/lit

7	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი	0,5 euro/lit
8	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან 80 მოც.%-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lit
9	2208 20	- სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ქაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად	1.5 euro/%vol/ HL
10	2208 30	- ვისკი	1.5 euro/%vol/ HL
11	2208 40	- რომი და ტაფია	1.5 euro/%vol/ HL
12	2208 50	- ჯინი და ღვინის ნაყენი	1.5 euro/%vol/ HL
13	2208 60	- არაყი	1.5 euro/%vol/ HL
14	2208 70	- ლიქიორები	1.5 euro/%vol/ HL
15	2208 90	- დანარჩენი	1.5 euro/%vol/ HL
16	2209 00	ძმარი და მისი შემცველები, მიღებული ძმარმჭავასაგან	0,4 euro/lit

საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი სასაქონლო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდებოდა დროებითი შემოტანის სასაქონლო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს. გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდებოდა დროებითი შემოტანის სასაქონლო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციაში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევას იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი:

1. იმპორტის გადასახადის დარიცხვა ხორციელდება საქონლის სატარიფო ღირებულების მიხედვით, გარდა კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. დარიცხული იმპორტის გადასახადის გადახდა ხორციელდება სასაქონლო ოპერაციების შესაბამისად საგადასახადო ორგანოს მიერ რეგისტრირებული სასაქონლო დეკლარაციის საფუძველზე.

გადასახადისაგან გათავისუფლება

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება ეხება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ჩამონათვალს, რომელიც პერიოდულად იცვლება. აღნიშნული გადასახადისაგან გათავისუფლებულთა უახლესი ჩამონათვალის ნახვა შეიძლება "საქართველოს საგადასახადო კოდექსის" თავი XXVIII, მუხლი 199-ში.

გ) აქციზი

აქციზი – დაწესებულია ცალკეულ საქონელზე და კანონმდებლობით იხდის საქონლის მწარმოებელი ან იმპორტიორი. აქციზის გადასახადის განაკვეთი განსხვავებულია საქონლის სახეობების მიხედვით.

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

- ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
- ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
- გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს;

დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდებას;

ე) ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევას.

აქციზით დაბეგვრის ობიექტია:

ა) დასაბეგრი ოპერაცია;

ბ) აქციზური საქონლის იმპორტი;

გ) აქციზური საქონლის ექსპორტი.

შენიშვნა: დასაბეგრი ოპერაციის ან/და საქონლის იმპორტის განხორციელებამდე აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება:

- აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელები (მათ შორის, ლუდი), რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს;
- თამბაქოს ნაწარმი.

დასაბეგრი ოპერაცია:

- მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანა;
- მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის დამკვეთისათვის გადაცემა;
- საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის არააქციზური საქონლის წარმოებისათვის გამოყენება;
- ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის მიწოდება;
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა.

დასაბეგრი ოპერაციის, აქციზური საქონლის იმპორტისა და აქციზური საქონლის ექსპორტის თანხის განსაზღვრა:

ა) ალკოჰოლიანი სასმელისათვის – ალკოჰოლიანი სასმელის მოცულობით;

ბ) თამბაქოს ნაწარმისათვის – თამბაქოს ნაწარმის რაოდენობით ან წონით;

გ) ნავთობპროდუქტისათვის – ნავთობპროდუქტის წონით (მოცულობით);

დ) მსუბუქი ავტომობილისათვის – მსუბუქი ავტომობილის წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;

ე) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატისათვის ან/და ბუნებრივი აირისათვის – აირის მოცულობით;

ვ) მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევის შემთხვევაში – მიღებული ან მისაღები კომპენსაციის თანხის მიხედვით (გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების ჩათვლით) აქციზის, დღგ-ის ან/და პირგასამტეხლოს გარეშე.

საერთაშორისო მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისას დასაბეგრი ოპერაციის თანხაში არ გაითვალისწინება არარეზიდენტი საწარმოსათვის გაწეული ასეთი მომსახურებიდან მიღებული თანხა.

აქციზური საქონლის იმპორტი და იმპორტის დრო:

1. აქციზური საქონლის იმპორტი განისაზღვრება კოდექსის მიხედვით.

2. აქციზური საქონლის იმპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელი კოდექსის მიხედვით იბეგრება ან, გათავისუფლებული რომ არ ყოფილიყო, დაიბეგრებოდა იმპორტის გადასახადით.

აქციზური საქონლის ექსპორტი და ექსპორტის დრო:

1. აქციზური საქონლის ექსპორტი განისაზღვრება კოდექსის მიხედვით.

2. აქციზური საქონლის ექსპორტი ხორციელდება მაშინ, როდესაც კოდექსის მიხედვით ხდება დეკლარირება საქონლის ექსპორტში მოქცევის შესახებ.

აქციზის განაკვეთები:

მობილური საკომუნიკაციო მომსახურების განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ოპერაციის თანხის 10 პროცენტს. ამასთანავე, საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, ყოველი შემდგომი კალენდარული წლისათვის საქართველოს პარლამენტს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგინოს დასამტკიცებლად განსხვავებული აქციზის განაკვეთი ნული პროცენტიდან 10 პროცენტამდე ოდენობის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს შესაბამისი დადგენილებით. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევი პირისთვის დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში გაწეული მობილური საკომუნიკაციო მომსახურების თანხების ჯამი.

ამ ნაწილში აღნიშნული აქციზური საქონელი იბეგრება აქციზის შემდეგი განაკვეთებით:

№	საქონლის დასახელება	საქონლის ნომენკლატურის კოდი	ზომის ერთეული	აქციზის განაკვეთი (ლარი)
1	სხვა დადუღებული სასმელები (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი); დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი, რომლებიც ამ ცხრილში სხვა ადგილას არ არის დასახელებული	2206 00	1 ლიტრი	2.5
2	ეთილის სპირტი	2207	1 ლიტრი	2.6
3	სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით	2208 20	1 ლიტრი	4.6
4	ვისკი	2208 30	1 ლიტრი	5
5	რომი და ტაფია	2208 40	1 ლიტრი	5
6	ჯინი და ღვინის ნაყენი	2208 50	1 ლიტრი	5
7	არაკი	2208 60	1 ლიტრი	3
8	ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	2208 70	1 ლიტრი	4.6
9	სხვა სპირტიანი სასმელები (20.12.2011 N 5556)	2208 90		
	ა) არაკი	2208 90 110 00, 2208 90 190 00	1 ლიტრი	2,5
	ბ) კლიავის, მსხლის ან ალუბლის სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა)	2208 90 330 00, 2208 90 380 00	1 ლიტრი	3
	გ) სპირტიანი ნაყენები და დანარჩენი სპირტიანი სასმელები:			
	უზო	2208 90 410 00	1 ლიტრი	3,5
	დანარჩენი		1 ლიტრი	3
	დ) სპირტიანი ნაყენები (ლიქიორების გარდა):			
	ხილისაგან გამოხდილი:	2208 90 710 00	1 ლიტრი	3,5
	კალვადოსი	2208 90 450 00	1 ლიტრი	4
	კორნი	2208 90 520 00	1 ლიტრი	4

	ტეკილა	2208 90 540 00, 2208 90 750 00	1 ლიტრი	4
	დანარჩენი	2208 90 480 00, 2208 90 560 00, 2208 90770 00	1 ლიტრი	3
	დანარჩენი სპირტიანი სასმელები სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 7 მოც.% ან ნაკლები	2208 90 690 01	1 ლიტრი	1
	დანარჩენი სპირტიანი სასმელები სპირტის ფაქტიური კონცენტრაციით 7 მოც.%-ზე მეტი	2208 90 690 09	1 ლიტრი	3
	დანარჩენი სპირტიანი სასმელები	2208 90 780 00	1 ლიტრი	3
	ეთილის სპირტი არადენატური- ბული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები	2208 90 910 00, 2208 90 990 00		3
10	ლუდი	2203 00	1 ლიტრი	0.4
11	თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლე- ულის გარდა)			
	- სიგარები, სიგარები ნაჭრილი ბო- ლოებით, თამბაქოს შემცველობით	2402 10 000 01	1 ლერი	0.9
	- სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით	2402 10 000 02	20 ლერი	1
	- ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით	2402 20	20 ლერი	0.6
	- ყველა დანარჩენი უფილტრო სიგა- რეტი და პაპიროსი	2402 20	20 ლერი	0.15
	- სამრეწველო დამზადების სხვა თამ- ბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემც- ველები, თამბაქოს ექსტრაქტები და ესენციები	2403 (გარდა 2403 10 900 00; 2403 99 900 00; 2403 91 000 00)	1 კგ	20
12	მსუბუქი ავტომობილები (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვე- ბის წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – სასა- ქონლო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მსუბუქი ავტომობილის გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით):	8703	ძრავის მოცულო- ბის 1 სმ ³	
	ა) 1 წლამდე			1.5
	ბ) 1 წლის			1.5
	გ) 2 წლის			1.4

	დ) 3 ნლის			1.3
	ე) 4 ნლის			1.2
	ვ) 5 ნლის			1.0
	ზ) 6 ნლის			0.7
	თ) 7 ნლის			0.5
	ი) 8 ნლის			0.5
	კ) 9 ნლის			0.5
	ლ) 10 ნლის			0.5
	მ) 11 ნლის			0.5
	ნ) 12 ნლის			0.5
	ო) 13 ნლის			0.6
	პ) 14 ნლის			0.7
	ჟ) 14 ნელზე მეტის			0.8
13	ბუნებრივი აიროვანი კონდენსატი და ბუნებრივი აირი, გარდა მილსადენისა	2709 00 100 00; 2711 11 000 00; 2711 21 000 00	1000 მ³	80
14	ნავთობის დისტრილატები:			
	მსუბუქი	2710 11	1 ტონა	250
	საშუალო	2710 19 110 00 - 2710 19 290 00	1 ტონა	220
	მძიმე	2710 19 310 00 - 2710 19 490 00	1 ტონა	150
15	ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მალალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები; ანალოგიური პროდუქტები, რომლებშიც არომატული შემადგენელი ნაწილების მასა აღემატება არაარომატულების მასას (გარდა ამ კოდებში აღნიშნული კრეოზოტული ზეთებისა, რომლებიც გამოიყენება ხის შპალების (სასაქონლო კოდი 4406 10 000 00) გასაფლენთად და ნახშირბადის (სასაქონლო კოდი 2803 00) მისაღებად)	2707 (გარდა 2707 10 100 00 - 2707 50 900 00; 2707 91 000 00; 2707 99 800 00; 2707 99 910 00)	1 ტონა	350
16	ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	2711 12; 2711 13; 2711 14 000 00; 2711 19 000 00	1 ტონა	120

17	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა; პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი, ბიტუმოვანი ქანებისაგან მიღებული ნავთობის ან ნავთობპროდუქტების 70 მას.% ან მეტი შემცველობით, ამასთანავე, ეს ნავთობი წარმოადგენს პროდუქტების ძირითად შემადგენლებს (24.06.2011. N4963 ამ პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.)	2710 (გარდა 2710 11 110 00 - 2710 19 490 00; 2710 19 510 00 - 2710 19 690 00; 2710 99 000 00)	1 ტონა	400
18	პიროლიზის თხევადი პროდუქტი	3911 90	1 ტონა	400
19	მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი	2707 10 100 00 - 2707 50 900 00 (გარდა 2707 40 000 00); 2707 99 800 00; 271220; 2902 11 100 00 - 2902 30 900 00; 2905 11 000 00 - 2905 16 800 00; 3811 11 100 00 - 3811 90 000 00; 3814 00 100 00 - 3814 00 900 00	1 ტონა	400
20	საპოხი მასალები და საშუალებები	3403 11 000 00; 3403 19 100 00; 3403 19 910 00; 3403 19 990 00; 3403 91 000 00; 3403 99 100 00; 3403 99 900 00	1 ტონა	400
21	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები – ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცაფების) ნარეცხი	2710 99 000 00	1 ტონა	50
	ნამუშევარი ნავთობპროდუქტები და-ნარჩენი	2710 99 000 00	1 ტონა	400

აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან თავისუფლდება:

- 50 გრამის ან მასზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში ჩასხმული ალკოჰოლიანი სასმელი;
- იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი;
- მოსაწევი (ჩიბუხის) თამბაქო;
- იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 400 ლერი სიგარეტი ან 50 სიგარა ან 50 სიგარილა ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში იმპორტირებული თამბაქოს ამ ქვეკუთხეულში დასახელებული ნაწარმის კომბინაცია საერთო წონით არა უმეტეს 250 გრამისა.

შენიშვნა:

შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის ექსპორტისათვის მომსახურების ტარირი გადაიხდებინება შემდეგი მოცულობით:

- შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენის (შავი ლითონის წარმოების ნარჩენისა და ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის გარდა) ექსპორტისათვის – 160 ლარი 1 ტონაზე;
- შავი ლითონის წარმოების ნარჩენის ექსპორტისათვის – 40 ლარი 1 ტონაზე;
- ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტისათვის – 50 ლარი 1 ტონაზე.

თავი III. არაპირდაპირი გადასახადების ევოლუცია საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების ფორმირებაში

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონი ბიუჯეტს განმარტავს, შემდეგნაირად: „საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხა“.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის პოლიტიკური და ფინანსური დოკუმენტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს კანონის სახით. მასში ასახულია განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება შემოსულობების გათვალისწინებით.

ბიუჯეტი არის სხვადასხვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს. ამასთან, ფინანსური პოლიტიკის ფორმირებისას გამოიყენება „ნაერთი ბიუჯეტი“, რომელიც აერთიანებს არსებულ ბიუჯეტებს და არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს.

საბიუჯეტო სისტემა არეგულირებს ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის დამტკიცების, შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის პროცესებს, აგრეთვე ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა, და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ურთიერთობასა და პასუხისმგებლობას.

„საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონის თანახმად საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა ეფუძნება 7 მთავარ პრინციპს:

1. ყოვლისმომცველობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობები და გადასახდელები სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამისი დონის ბიუჯეტებში;
2. გამჭვირვალობა - ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურები უნდა იყოს საჯარო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის

საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტები და მათი შესრულების შესახებ ანგარიშები უნდა იქნეს გამოქვეყნებული; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის;

3. ანგარიშვალდებულება - საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა პირი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;

4. დამოუკიდებლობა - ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები და ადგილობრივი ბიუჯეტები დამოუკიდებელია, რასაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება;


5. ერთიანობა - ხელმძღვანელობა უნდა მოხდეს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით;

6. უნივერსალობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობა უნდა მიიმართოს საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული ხარჯის ან ღონისძიებების დასაფინანსებლად;

7. კონსოლიდირება - ყველა სახელმწიფო შემოსულობა უნდა აისახოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომელიც იმართება სახელმწიფო ხაზინის მიერ და განთავსებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში. ხარჯების გაწევა უნდა ხდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მთავარი წყაროა გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი. ქვემოთ მოყვანილია 2017, 2018 და 2019 წლის მონაცემები. განხილულია ყოველთვიურად თუ რა თანხა შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადიდან, აქციზის გადასახადიდან და იმპორტის გადასახადიდან.


პირველ რიგში განვიხილოთ ნაერთი ბიუჯეტის გადასახადები.




მოცემული გრაფიკიდან ნათლად ჩანს რომ, ყოველწლიურად იზრდება, გარდა მესამე თვისა. ამ შემთხვევაში როგორც ჩანს კლებადი ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება დანარჩენ თერთმეტ თვეს სტაბილურად მზარდი ტენდენცია გააჩნია.

ახლა სათითაოდ განვიხილოთ არაპირდაპირი გადასახადები და განვიხილოთ თუ რა თანხა შედის თითოეული მათგანიდან ბიუჯეტში.

დღგ-დან მიღებული შემოსავალი :




მოცემული გრაფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ ბოლო 3 წლის მანძილზე დღგ-დან მიღებული შემოსავალი მზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მეორე, მესამე მეცხრე და მეთერთმეტე თვეები, რომე შემთხვევაშიც კლებადი ტენდენცია ახასიათებთ. თუ ამ მონაცემების გრაფიკს შევადარებთ 2016-2018 წლის მონაცემების გრაფიკს ნათლად დავინახავთ რომ წინა წლებში სტაბილურად მზარდი თენდენციით ხასიათდებოდა,, გარდა მეორე თვისა.



მოცემული გრაფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ ბოლო 3 წლის მანძილზე დღგ-დან მიღებული შემოსავალი მზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, გამონაკლისია მხოლოდ თებერვალი რა შემთხვევაშიც დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2018 წელს ჩამორჩებდა 2017 წელს მიღებულ შემოსავალს. რაც შეეხება 2016-2017 წლის შედარებას ნათლად ჩანს რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით მკვეთრადაა გაზრდილი დღგ-დან მიღებული შემოსავალი.


აქციზიდან მიღებული შემოსავალი :



2019 ფაქტი	159,387	63,040	62,949	85,694									
2018 ფაქტი	148,045	55,378	101,891	116,161	119,259	113,419	117,871	176,909	142,075	79,686	123,135	171,898	
2017 ფაქტი	157,794	67,616	105,696	103,000	122,012	104,802	110,747	151,010	124,411	135,395	130,418	138,021	

2017-2019 წლის მონაცემების საფუძველზე არ შეგვიძლია სტაბილურაობით დავახასიათოთ აქციზიდან მიღებული შემოსავალი 2017-2018 წლის მონაცემები რომ განვიხილოთ 6 თვე მზარდი ტენდენცია გააჩნია ხოლო 6 თვე კლებადი ტენდენცია, ხოლო რააც შეეხება 2019 წლის მონაცემებს ამ შემთხვევაში მხოლოდ პირველი თვე ხასიათდება ზრდადობით, მეორე თვე 2017 თან შედარებით ნაკლებია, ხოლო 2018 წელთან შედარებით მეტი. რაც შეეხება უკანასკნელ ორ თვეს მკვეთრად კლებად ტენდენცია გამოიკვეთება. ამ მონაცემებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ აქციზიდან მიღებული შემოსავალი ბოლო სამი წლის მანძილზე 2018 წელს იყო. მაგრამ სრული სურათის დასანახად შევადაროთ 2016-2018 წლის მონაცემებს.


აქციზის გადასახადი



მოცემული გრაფიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ აქციზიდან მიღებული შემოსავალი 2018 წლის მონაცემებით კლებადი ტენდენციით ხასიათებოდა 2017 თან შედარებით ხოლო ზრდადია 2016 წლის მონაცემებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე შეგვეძლო გვეთქვა რომ 2017 წელს აქციზიდან მიღებული შემოსავალი ყველაზე მაღალი იყო ბოლო სამი წლის მანძილზე. მაგრამ ამ გრაფიკში არაა შესული 2018 წლის ბოლო 7 თვის მონაცემები, რომელიც მკვეთრად შეგვიცვლიდა სურათს და საბოლოოდ ვიტყვით რომ 2018 წელს მითებულმა შემოსავლებმა გადააჭარბა 2017 წელს მოღებულ შემოსავლებს აქციზიდან.


იმპორტიდან მიღებული შემოსავალი :

იმპორტის გადასახადი



2019 ფაქტი	5,511	4,674	5,356	6,429								
2018 ფაქტი	7,524	5,098	6,357	6,244	6,297	6,350	6,348	6,672	4,856	6,199	5,422	6,049
2017 ფაქტი	7,080	5,254	5,931	5,178	5,242	5,678	5,552	6,194	5,202	6,742	6,597	6,968


ამ გრაფიკზე მოცემულია 2017-2019 წლის მონაცემები. მოცემულ 2017-2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაოდოთ რომ იმპორტიდან მიღებული შემოსავალი ჯერ ზრდადი ხოლო შემდგომ კლებადი ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება 2019 წელს ძირითადად კლებადი ტენდენცია გააჩნია, გარდა მეორე თვის. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ რომ, ბოლო სამი წლის მანძილზე იმპორტიდან მიღებული შემოსავალი ყველაზე მაღალი იყო 2018 წელს. ამ მონაცემებს შეგვიძლია შევადაროთ წინა წლის მონაცემები სადაც წარმოდგენილია 2016-2018 წლის მონაცემები.



გრაფიკზე მოცემულია იმპორტიდან მიღებული შემოსავალი 2016, 2017, 2018 წლის მონაცემებით. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვეძლო გვეთქვა რომ 2016 წელს იყო ყველაზე მაღალი იმპორტიდან მიღებული შემოსავალი. ბოლო სამი წლის მონაცემებით იმპორტიდან მიღებული შემოსავალი ჯერ კლებად შემდეგ ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, გარდა იანვრისა, როგორც ვხედავთ იანვარში ის ხასიათდებოდა ზრდადი ტენდენციით. თუ ამ ორ ცხრილს შევადარებთ ვიტყვით რომ საერთო ჯამში იმპორტიდან მიღებული შემოსავალი შემცირებულია/ რადგან ნათლად ჩანს სხვაობა 2016-2019 წლის მონაცემებს შორის სხვაობა.

ახლა განვიხილოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2019 წლის გეგმის მონაცემებით.

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით



გრაფიკზე გამოსახული მონაცემებიდან თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო შემოსულობების ძირითადი კატეგორია გადასახადებია, მას 75% მიენიჭა, ხოლო დანარჩენი 25 % გადანაწილებულია გრანტებზე, სხვა შემოსავლებზე, სესხის დაბრუნებაზე, პრივატიზაციასა და საშინაო და საგარეო ვალის ზრდაზე.

ახლა კი განვიხილოთ ცალ-ცალკე გადასახადები, თუ რა წილი უკავია არაპირდაპირ გადასახადებს ზოგადად გადასახადებში.


ნაერთი ბიუჯეტი
(საბაზო სცენარი)

	2015 ფაქტ.	2016 ფაქტ.	2017 ფაქტ.	2018 მოსალ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.	2022 პროგნ.
(მლნ ლარი)								
შემოსავლები	8,963.2	9,675.5	10,921.2	11,705.0	12,578.0	13,402.0	14,250.0	15,340.0
გადასახადები	8,010.9	8,786.1	9,778.9	10,500.0	11,280.0	12,132.0	13,000.0	14,000.0
არაპირდაპირი გადასახადები	4,445.5	4,426.1	5,645.2	5,986.0	6,526.0	6,943.0	7,450.0	8,009.0
პირდაპირი გადასახადები	3,565.4	4,360.0	4,133.8	4,514.0	4,754.0	5,189.0	5,550.0	5,991.0
სოციალური შენატანები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	318.8	297.3	350.6	400.0	388.0	380.0	350.0	340.0
სხვა შემოსავლები	633.5	592.1	791.6	805.0	910.0	890.0	900.0	1,000.0

მოცემული ცხრილი საშუალებას გვაძლევს შევადაროთ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები ერთმანეთს. მოცემულია 2015-2017 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლები, 2018 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლები და ასევე 2019-2022 წლის პროგნოზი. მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ რომ არაპირდაპირი გადასახადის წილი გადასახადებში ყოველწლიურად იზრდება, ხოლო პირდაპირი გადასახადიდან მიღებული შემოსავლის წილი მცირდება. მაგალითისთვის შევადაროთ 2015 წლის ფაქტობრივი მონაცემები 2022 წლის პროგნოზს.

2015 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი იყო 8,010,9 მლნ ლარი აქედან არაპირდაპირი გადასახადების წილი იყო 4,445.5 მლნ ლარი, ხოლო პირდაპირი გადასახადებისა – 3,565.4 მლნ ლარი. რაც შეეხება 2022 წლის პროგნოზს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი უნდა შეადგენდეს 14,000.0 მლნ ლარს, აქედან არაპირდაპირ გადასახადებზე მოდის 8,009.0 მლნ ლარი, ხოლო პირდაპირ გადასახადებზე – 5,991.0 მლნ ლარი. მოცემული მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ არაპირდაპირი გადასახადების წილი ნაერთი ბიუჯეტის ფორმირებაში იზრდება. მაგრამ უფრო სამართლიანი რომ იყოს, შევადაროთ ფაქტობრივი მაჩვენებლები ერთმანეთს და არა პროგნოზი. როგორც უკვე ავღნიშნეთ 2015 წელს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი იყო 8,010,9 მლნ ლარი აქედან არაპირდაპირი გადასახადების წილი იყო 4,445.5 მლნ ლარი, ხოლო პირდაპირი გადასახადების წილი იყო 3,565.4 მლნ ლარი. ხოლო 2017 წლის მონაცემებით გადასახადები შეადგენდა 9,778.9 მლნ ლარს, აქედან არაპირდაპირი გადასახადები იყო 5,645.2 მლნ ლარი, პირდაპირი გადასახადები – 4,133.8 მლნ ლარი. სურათი ამ შემთხვევაშიც არ იცვლება, როგორც პროგნოზით ასევე ფაქტობრივი მონაცემებით ჩანს რომ არაპირდაპირ გადასახადების წილი იზრდება ბიუჯეტის ფორმირებაში.

2017 წლის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადების წილი ერთმანეთს.



საქართველოს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2016 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით მობილიზებულია 9 675.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 101.1%-ია გადასახადების სახით მობილიზებულია 8 786.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5 %-ია, ხოლო მშპ-თან მიმართებაში 25.9% შეადგინა. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 414.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 525.0 მლნ ლარი) 95.6%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 7.1%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 055.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (980.0 მლნ ლარი) 107.7%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 3.1%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 286.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 802.0 მლნ ლარი) 86.4%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 9.7%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 1 069.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 012.0 მლნ ლარი) 105.7%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 3.2%-ია.

- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 70.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (75.0 მლნ ლარი) 93.4%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.2%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 363.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (321.0 მლნ ლარი) 113.2%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 1.1%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 526.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.0 მლნ ლარი) 2 106.3%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 1.6%-ია.
- გრანტების სახით მობილიზებულია 297.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 120.5%-ია.
- სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 592.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (585.0მლნ ლარი) 101.2%-ია.


დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი				% მშპ-სთან
	გეგმა	ფაქტი	+/-	%	
შემოსავლები	9,571.8	9,675.5	103.7	101.1%	28.5%
გადასახადები	8,740.0	8,786.1	46.1	100.5%	25.9%
საშემოსავლო გადასახადი	2,525.0	2,414.1	-110.9	95.6%	7.1%
მოგების გადასახადი	980.0	1,055.9	75.9	107.7%	3.1%
დამატებული ღირებულების გადასახადი	3,802.0	3,286.4	-515.6	86.4%	9.7%
აქციზი	1,012.0	1,069.7	57.7	105.7%	3.2%
იმპორტის გადასახადი	75.0	70.0	-5.0	93.4%	0.2%
ქონების გადასახადი	321.0	363.4	42.4	113.2%	1.1%
სხვა გადასახადი	25.0	526.6	501.6	2106.3%	1.6%
გრანტები	246.8	297.3	50.5	120.5%	0.9%
სხვა შემოსავლები	585.0	592.1	7.1	101.2%	1.7%

საქართველოს 2018-2021 წლების შემოსულობების პროგნოზი


საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2017 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის წილი მშპ-სთან 29.0%-ის, ხოლო გადასახადების წილი 26.0%-ის დონეზე იქნება. 2018-2021 წლების ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ საშუალოდ 27.8%, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილი საშუალოდ 25.3%-ის დონეზეა ნაგარაუდები.

2018 წელს ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 1.8%-ს გაუტოლდება. ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში, შესაბამისად, 0.4 და 0.2 პროცენტი იქნება.

2019 წლის მონაცემებით არაპირდაპირი გადასახადები პროცენტულად ესე ნაწილდება : დიაგრამაზე ნათლად ჩანს რომ დღგ-დან მიღებული შემოსავალი შეადგენს არაპირდაპირი გადასახადების ძირითად ნაწილს, ხოლო იმპორტიდან მიღებული შემოსავალი საკმაოდ მცირეა. მოცემული დიაგრამა შედგენილია 2019 წლის პირველი 4 თვის ფაქტობრივ მაჩვენებლებზე.



რაც შეეხება 2019 წლის პროგნოზს, არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს:



რა შემთხვევაშიც დღე შემცირდება, ხოლო აქციზი და იმპორტი გაიზრდება 1-1 % ით.

არაპირდაპირი გადასახადების სტრუქტურის უკეთ დანახვაში დაგვეხმარება წინა წლის მონაცემები, მაგალითისთვის განვიხილოთ 2010 წლიდან.

დაახლოებით

წაერთი ბიუჯეტი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
(მლნ ლარი)								
შემოსავლები	5,865.8	6,873.7	7,560.0	7,345.0	7,909.0	8,616.0	9,438.0	10,360.0
გადასახადები	4,867.4	6,134.8	6,671.0	6,680.0	7,230.0	7,956.0	8,758.0	9,650.0
არაპირდაპირი გადასახადები	2,834.3	3,492.7	3,790.0	3,685.0	4,113.0	4,571.0	5,030.0	5,540.0
პირდაპირი გადასახადები	2,033.1	2,642.0	2,881.0	2,995.0	3,117.0	3,385.0	3,728.0	4,110.0
სოციალური შენატანები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	472.1	223.5	270.9	165.0	144.0	150.0	140.0	130.0
სხვა შემოსავლები	526.3	515.4	618.2	500.0	535.0	510.0	540.0	580.0

ცხრილში მოცემულია 2010-2012 წლის ფაქტობრივი მონაცემები, 2013 წლის მოსალოდნელი მაჩვენებელი, ხოლო 2014-2017 წლის პროგნოზი. ასევე წარმოვადგინოთ შედარებით ახალი მონაცემები რათა არ მოხდეს დროის ხაზის წყვეტა. რაც შეეხება უახლეს მონაცემებს უკვე განხილული გვაქვს 2015 წლიდან 2022 წლის პროგნოზამდე.


დახართი №1.3

წაერთი ბიუჯეტი

(საბაზო სცენარი)


	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	ფაქტ.	მოსალ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
(მლნ ლარი)								
შემოსავლები	7,560.0	7,434.2	8,118.8	8,963.2	9,642.0	10,530.0	11,145.0	12,095.0
გადასახადები	6,671.0	6,659.3	7,241.6	8,010.9	8,740.0	9,540.0	10,135.0	11,085.0
არაპირდაპირი გადასახადები	3,790.0	3,659.4	4,203.6	4,445.5	4,480.0	5,482.0	5,821.0	6,371.0
პირდაპირი გადასახადები	2,881.0	2,999.9	3,037.9	3,565.4	4,260.0	4,058.0	4,314.0	4,714.0
სოციალური შენატანები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	270.9	238.9	279.5	318.8	317.0	285.0	350.0	350.0
სხვა შემოსავლები	618.2	536.0	597.8	633.5	585.0	705.0	660.0	660.0

როგორც უკვე ვხედავთ ნაერთი ბიუჯეტი 2010 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იზრდება. ისიც აღსანიშნავია რომ იმაზე მეტით იზრდება, ვიდრე წინასწარ განსაზღვრული. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დავაკვირდეთ არაპირდაპირი გადასახადების ცვლილებას. თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგინოთ გრაფიკი წლების მიხედვით.




მოცემული გრაფიკიდან ნათელია, რომ არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ყოველთვის აჭარბებს პირდაპირი გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს, მაგრამ აღსანიშნავია ისიც რომ ეს სხვაობა წინა წლებში გაცილებით დიდი იყო. მოცემული მაჩვენებლებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2014 წლიდან 2016 წლამდე მცდელობა იყო არაპირდაპირი გადასახადების შემცირების, ხოლო პირდაპირი გადასახადების გაზრდის, მაგრამ 2017 წლიდან ისევ და ისევ დაიწყო არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის მკვეთრი ზრდა. პროცენტულად რომ შევადაროთ 2010, 2016 და 2019 წლის მონაცემები შემდეგ სურათს მივიღებთ : სადაც თვალნათლივ დავინახავთ არაპირდაპირი გადასახადების ჯერ პროცენტულ შემცირებას , ხოლო შემდეგ ისევ მის ზრდას.


2010 წელი




2016 წელი



2019 წელი




არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადების დამოკიდებულება განვიხილეთ, ახლა დეტალურად განვიხილოთ თითოეული არაპირდაპირი გადასახადი და დავინახოთ თუ რა შეიცვალა ბოლო წლების მანძილზე.



2010-2018 წლის მონაცემებიდან ჩანს რომ არაპირდაპირი გადასახადებიდან ყველაზე დიდი წილი უჭირავს დღგ-ს, მას მოყვება აქციზი და ბოლო ადგილზე იმპორტის გადასახადი. დღგ ყოველწლიურად იზრდება, გამონაკლისი მხოლოდ 2013 და 2016 წელია, რომელ შემთხვევაშიც შემცირებულია წინა წელთან შედარებით საბოლოოდ დღგ-დან მიღებული შემოსავალი 2018 წელს დაახლოებით 2-ჯერ აღემატება 2010 წლის მონაცემს. რაც შეეხება აქციზს ის ყოველწლიურად იზრდება და უფრო და უფრო დიდი წილი მოდის მასზე, აქციზიდან მიღებული შემოსავალი 2018 წელს თითქმის 3-ჯერ აღემატება 2010 წლის მონაცემს. ბოლო სამი წლის მანძილზე მკვეთრად გაზრდილი აქციზიდან მიღებული შემოსავალი, რასაც დეტალურად შემდგომში განვიხილავთ. ხოლო რაც შეეხება იმპორტის გადასახადს, შეგვიძლია ვთქვათ რომ ჯერ მზარდი, ხოლო შემდგომში კლებადი ტემპით ხასიათდება. მოცემული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ 2010 წლისა და 2018 წლის მონაცემებს შორის სხვაობა დიდი სულაც არაა, ის მხოლოდ 4,3 %-ითაა გაზრდილი. იმპორტის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი ყველაზე მაღალი 2012 წელს იყო რაც 22,75%-ით მაღალია 2018 წლის მაჩვენებელზე. საბოლოოდ რომ ვთქვათ, არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება და მას უფრო და უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში. გამონაკლისი მხოლოდ 2016 წელს იყო, როდესაც თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი.

2010-2018 წლის საფუძველზე აუცილებელია განვიხილოთ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობა მშპ-სთან.



როგორც ვხედავთ გადასახადების თანაფარდობა მშპ-სთან თითქმის სტაბილურია. არაპირდაპირი გადასახადების შეფარდება მშპ-სთან დაახლოებით 13%-დან 15%-მდე მერყეობს, ხოლო პირდაპირი გადასახადების თანაფარდობა მშპ-სთან დაახლოებით – 9%-დან 11%-მდე. მაგრამ გამონაკლისი რათქმაუნდა აქაც გვაქვს და როგორც წინა შემთხვევებში აქაც 2016 წელია, როდესაც არაპირდაპირი გადასახადების თანაფარდობა მშპ-სთან 13 % იყო, ხოლო პირდაპირი გადასახადების –12.8 %, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ამ წელს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი თითქმის ერთმანეთს გაუტოლდა, მსგავსი შემთხვევა სხვა არცერთ წელს არ განმეორებულა ბოლო ათწლეულის მანძილზე.

საქართველოში ბოლოდროინდელ მოვლენებს თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თემაა აქციზი. 2010 წლიდან, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა და დასაბეგრი ბაზა გაფართოვდა. საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების თამბაქო და ალკოჰოლი აქციზით იბეგრება. აქციზის გადასახადის გაზრდის გადაწყვეტილება, ფინანსთა სამინისტრომ, გლობალური ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევებით ახსნა.

თავისუფალ უნივერსიტეტში შარშან, ივნისში გამართულ საჯარო პრეზენტაციაზე, ფინანსთა მინისტრმა განმარტა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში, მთავრობამ საგადასახადო შემოსავლების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის მიზნით, გადასახადის წნეხის გათანაბრება გადაწყვიტა. შესაბამისად, შეირჩა ქონებისა და აქციზის გადასახადები – მათზე პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ეკონომიკური თავისუფლების აქტი არ ვრცელდებოდა. თავისუფლების აქტი საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივაა. ის მთავრობისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებას გულისხმობს. მათ შორისაა რეფერენდუმის გარეშე ახალი გადასახადების შემოღების აკრძალვა. აქტის მთავარი დევიზია – „საქართველო მსოფლიო ლიბერალური ეკონომიკის ფლაგმანი უნდა გახდეს“.

აქციზის გადასახადის გაზრდით, მთავრობის ვარაუდით, ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებზე – თამბაქოსა და ალკოჰოლზე – მოთხოვნა შემცირდება და მათი მოხმარება შეიზღუდება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შეფასებით, ყოველ წელს, ერთ სულ მოსახლეზე 6.4 ლიტრი ალკოჰოლი მოდის. რუსეთში, მოლდოვაში, სამხრეთ კორეასა და ჩეხეთში, სადაც საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალი აქციზის გადასახადია, ეს მაჩვენებელი 16, 18, 15 და 16 ლიტრია. სიგარეტის მოხმარების მხრივ საქართველო 48-ე ადგილზეა, წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე – 1040 სიგარეტი. რუსეთი მეშვიდე ადგილს იკავებს და იგივე მაჩვენებელი 2319 ღერი სიგარეტია. მოლდოვა, სამხრეთ კორეა, ჩეხეთი და დიდი ბრიტანეთი, შესაბამისად, მე-8, 21-ე, 25-ე და მე-5 ადგილებზე არიან.

აქციზის გადასახადი და მისი ოდენობა სიგარეტსა და ალკოჰოლზე მოთხოვნას არ ამცირებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიგარეტი და ალკოჰოლი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დამოკიდებულებით გამოირჩევა, მაშინ მათზე ფასის გაძვირების შემთხვევაში, მომხმარებლები უფრო იაფფასიან პროდუქტებზე გადავლენ. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, სიგარეტის მწარმოებლებმა თავიანთ პროდუქციაზე ფასები ხარისხის ხარჯზე შეამცირონ. ეს, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, მომხმარებლის ჯანმრთელობას ავნებს.

დიდი ბრიტანეთი, აქციზების მეშვეობით ბაზრის რეგულირების წარუმატებელი პოლიტიკის კარგი მაგალითია. აქციზის ღირებულება გასაყიდი ფასის 16.5%-ს შეადგენს და თუ რაოდენობამ 1000 სიგარეტს გადააჭარბა, დამატებით გადასახადი ემატება. ამგვარი პოლიტიკის შედეგად, დიდ ბრიტანეთში სიგარეტების 60%-ზე მეტი შავ ბაზარზე იყიდება.

ამდენად, აქციზი საზოგადოებრივ დანაკარგს იწვევს. როდესაც მწარმოებლის დანახარჯები იზრდება, იგი უფრო ნაკლებს აწარმოებს, ხოლო მომხმარებელი, ფასის მატებასთან ერთად, ნაკლები რაოდენობის პროდუქციას შეიძენს. სტიმულების დაკარგვის შედეგად ეკონომიკა ნაკლები ტემპებით ვითარდება.

გავთავისუფლდეთ თამბაქოს კვამლისგან!", - ამ სლოგანით საქართველოს პარლამენტში "თამბაქოს კონტროლის" შესახებ კანონის დანერგვის საკომუნიკაციო კამპანია გახსნილი. "შემდეგი 15 წლის განმავლობაში, გადავარჩენთ 53 ათასზე მეტ თანამოქალაქს ნაადრევი და მტანჯველი სიკვდილისგან და ქვეყნის ეკონომიკისთვის 3.5 მილიარდი ლარი დაიზოგება", - განაცხადა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ.


2018 წლის 1 სექტემბრიდან თამბაქოს ნაწარმის ბრენდის დასახელებაში იკრძალება შემდეგი სიტყვების გამოყენება: "მენტოლი", "მსუბუქი", "რბილი", "ნაკლებად მძაფრი", "ულტრამსუბუქი", "დაბალი შემცველობით", "ექსტრა", "ულტრა" და სხვა. შესაბამისი ცვლილება თამბაქოს კონტროლის კანონში წერია. რაც შეეხება თამბაქოს სტანდარტულ (სადა შეფუთვას), ის 2022 წლის 31 დეკემბრიდან, ანუ 2023 წლიდან ამოქმედდება. ცვლილების შედეგად ყველა ბრენდის სიგარეტი ერთნაირი ტიპის შეფუთვით გაიყიდება და მათზე ნებისმიერი სახით ბრენდის მითითება აიკრძალება.

შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით, 2017 წლის განმავლობაში საქართველოში 397 მილიონი კოლოფი სიგარეტი მოიხმარეს, რაც 2016 წელთან შედარებით, 14.6%-ით ნაკლებია.

მთავრობამ აქციზის გადასახადი გაზარდა 50%-ით და ელოდა, რომ თამბაქოს გაყიდვები შემცირდებოდა 8%-ით, თუმცა სინამდვილეში მთავრობის პროგნოზი არასწორი აღმოჩნდა და გაყიდვები 15%-ით შემცირდა. შესაბამისად, ფასის ცვლილებაზე მოსახლეობის რეაქცია იმაზე უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ამას მთავრობა ელოდა.

გასული 4 წლის განმავლობაში თამბაქოს ნაწარმზე აქციზმა 5-ჯერ მოიმატა.

გრაფიკზე მოცემულია უფილტრო და ფილტრიანი სიგარეტის მოხმარების რაოდენობა წლების მიხედვით. მოცემული სურათიდან ნათლად ჩანს სიგარეტის მოხმარების შემცირება ბოლო წლებში, მცირდება ფილტრიანი სიგარეტის მოხმარება ხოლო იზრდება უფილტრო სიგარეტის მოხმარება, რაც პირდაპირ კავშირშია აქციზის გაძვირებასთან.



საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)-ის [გამოკითხვის](#) თანახმად, მოსახლეობის ნახევარზე მეტი საწვავსა და თამბაქოზე აქციზის ზრდას ნეგატიურ ნაბიჯად აფასებს.


კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 73%-მა იცის, ქვეყანაში აქციზის ზრდის შესახებ, მათგან კი ვინც აქციზის ზრდის შესახებ იცის 97% ასახელებს, რომ ეს ნეგატიური ცვლილებაა. აქციზის გაძვირებას დადებითად მხოლოდ 2% აფასებს.

მოცემულ პარაგრაფში გადასახადები განვიხილეთ საქართველოს მაგალითზე, მაგრამ საკითხის უკეთ დანახვაში დაგვახმარება რომ ის შევადაროთ სხვა ქვეყნის მონაცემებს. პირველ რიგში განვიხილოთ ცხრილი რომელიც შემოგვთავაზა OCED-მ.


Detailed tax types	Acronym	Corresponding Revenue Statistics code	Share in 1995	Share in 2016
1. Personal income tax	PIT	1100 Personal income tax	25.0	23.8
2. Corporate income tax	CIT	1200 Corporate income tax	8.1	9.0
3. Social security contributions & payroll taxes	SSC	2000 Social security contributions, 3000 Payroll taxes	26.2	27.2
4. Property taxes	PROP	4000 Taxes on property	5.2	5.7
5. VAT	VAT	5111 Value-added taxes	18.1	20.2
6. Taxes on imports & exports	TIE	5123 Customs & import duties; 5124 Taxes on exports; 5127 Other taxes on international trade & transactions, Customs duties collected for the EU	2.3	0.7
7. Other consumption taxes	OCT	All other taxes under 5000 (consumption taxes): 5112, 5113, 5121, 5122, 5125, 5126, 5128, 5130, 5200, 5300	13.5	11.8
8. Residual taxes	RT	1300 Unallocable between 1100 & 1200; Taxes on payroll & workforce; 6000 Other taxes	1.6	1.5

Source: Authors' calculations based on OECD Revenue Statistics (2018).


ცხრილში მოცემულია OCED-ს მაჩვენებლები. გადასახადები დაყოფილია 8 კატეგორიად და აქედან თვითოეულს მინიჭებული აქვს თავისი წილი. თალსაჩინოებისთვის შედარებულია 1995 წლისა და 2016 წლის მონაცემები. ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია წარმოვადგინოთ დიაგრამა, რომელშიც მხოლოდ არაპირდაპირი გადასახადების წილი იქნება მითითებული და ის შევადაროთ საქართველოს მაჩვენებელს.




როგორც უკვე ვხედავთ, დიაგრამაზე წარმოდგენილია OCED-ს 2016 წლის მონაცემების მიხედვით არაპირდაპირი გადასახადების წილი. შეგახსენებთ რომ მსგავსი დიაგრამა შედგენილი გვაქვს საქართველოს მაგალითზეც, სადაც დღგ–72%, აქციზი–26%, ხოლო იმპორტი 2%. ასევე შეგვიძია შევადაროთ არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადები ერთმანეთს.



მოცემული გრაფიკიდან კი ნათლად ჩანს რომ პირდაპირი გადასახადები აჭარბებს არაპირდაპირ გადასახადებს, რაც საქართველოს მაჩვენებლისგან სრულიად განსხვავდება. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წილი 58%-ია 2017 წლის ფაქტობრივი მონაცემებით. ჩვენ ქვემოთ მოტანილი გვაქვს სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები რაც ნათელს ჰფენს განსხვავებას გადასახადების გადანაწილებებს შორის.



და OECD-ს ქვეყნების დღგ-ს სტანდარტები:



როგორც ვხედავთ, OECD-ს ქვეყნებისთვის დღგ-ს საშუალო მაჩვენებელი 19.3%-ია. საქართველოში ეს მაჩვენებელი 18 %-ს შეადგენს, თუმცა არსებობენ ქვეყნები, სადაც გაცილებით დაბალია დღგ. ქვემოთ განვიხილავთ სიტუაციას, თუ რა მოხდება საქართველოში დღგ-ს განაკვეთის შემცირების შემთხვევაში.

საქართველოში დღგ შემოღებულია 1993 წლის 24 დეკემბრის „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის შესახებ კანონით. მან შეცვალა ბრუნვის გადასახადი, რომელიც იანგარიშებოდა საქონლის/მომსახურების ღირებულების საფუძველზე და დამოკიდებული იყო წარმოებისა და რეალიზაციის სტადიების რაოდენობაზე. მას შემდეგ დღგ-მ ბევრი ცვლილება განიცადა. საქართველოში დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციისათვის ბრუნვის (დასაბეგრი ოპერაციის) მოცულობის განსაზღვრის, დადგენის დინამიკას შემდეგი სახე აქვს:

1992 წლიდან (გადასახადის შემოღება) -----სრული ბრუნვა

1997 წლიდან (კოდექსის ამოქმედება) -----3000 ლარი

2000 წლიდან (13 ივლისის #471-1ს კანონი)----- 24000 ლარი

2003 წლიდან (26 აგვისტოს #3020-ს კანონი)-----100000 ლარი

აღნიშნული ცვლილებების დინამიკა (არა ზოგადად ცვლილების, არამედ მოცემული პერიოდულობითა და სიდიდეთა განსაზღვრით) ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებთან და არსებულ მდგომარეობასთან მისადაგებით არ განპირობდება. დღგ-სთან დაკავშირებით მივმართოთ მცირე ისტორიულ ექსკურსს. საქართველოში დღგ შემოიღეს 1992 წელს 28 პროცენტის ოდენობით. მომდევნო პერიოდში დღგ-ს განაკვეთი გაანახევრეს. 1997 წლიდან კი იგი დაადგინეს 20 პროცენტის ოდენობით, 2005 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვითაც გადასახადების რაოდენობა 22-დან 7-მდე შემცირდა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადის განაკვეთებიც: დღგ-ს 20%-იანი განაკვეთი 18%-მდე იქნა დაყვანილი, რაც დადებითად აისახა ბიუჯეტზე. საგადასახადო განაკვეთების შემცირებისას უნდა

გამოვიჩინოთ სიფრთხილე და ზომიერება ისე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები არ შემცირდეს.

დღგ-ს შემცირებას გააჩნია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. დავიწყოთ იმით რომ დღგ ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა და საქართველოში მთლიანი გადასახადების დაახლოებით 38% უკავია, მაგრამ როგორც უკვე ავლნიშნეთ, დღგ მიეკუთვნება არაპირდაპირ გადასახადებს და მას სააბოლოო მომხმარებელი იხდის, ამ შემთხვევაში იზრდება პროდუქტების ფასი, თუ დღგ-ს განაკვეთს შევამცირებთ შემცირდება ფასები, რა შემთხვევაშიც მომხმარებელი შეძლებს უფრო მეტი პროდუქტის შეძენას. თუ პროდუქტის ფასი შემცირდება და სახელფასო განაკვეთები არ შეიცვლება, სააბოლო ჯამში საქმე გვექნება ინფლაციასთან. გარდა ამისა, განაკვეთის შემცირება შეამცირებს კორუფციას და ბოლოს მოუღებს ჩრდილოვან ეკონომიკას, თუ დაბალი იქნება გადასახადი, მოსახლეობაც აღარ დამალავს საკუთარ შემოსავალს და სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხები გაიზრდება. მაგალითისთვის განვიხილოთ, რომ საქართველოში დღგ შემცირდება 15, 16 ან 17 % მდე და სხვა დანარჩენი უცვლელია. მოცემულ მაგალითზე გადავხედოთ საქართველოს ბიუჯეტს.

თუ მაგალითად, 2018 წელს შემოსული თანხა გადასახადებიდან უნდა შეადგენდეს 11705 ლარს, თუ დღგ შემცირდება 18 %-დან 15 %-მდე 4426,9 ლარის ნაცვლად დღგ-დან მიღებული შემოსავალი გვექნება 3689 ლარი, რაც საერთო ჯამში ბიუჯეტს შეამცირებს 737,9 ლარით. თუ შევამცირებთ 16-%მდე, დღგ-დან მიღებული თანხა შემცირდება 3935 ლარამდე, რაც საერთო ჯამში ბიუჯეტს შეამცირებს 491,9 ლარით. თუ ის შემცირდება მხოლოდ ერთი პროცენტით, ბიუჯეტი მთლიანობაში შემცირდება 246 ლარით, მაგრამ რა თქმაუნდა, ეს მსჯელობა არასწორი იქნება თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ სხვა ფაქტორებიც. მხოლოდ ის, რომ დღგ-ს შემცირება პირდაპირ იწვევს ბიუჯეტის შემცირებას, ეს მცდარი იქნება, რადგან, როგორც უკვე ავლნიშნეთ, დღგ-ს განაკვეთის შემცირებას თან სდევს რიგი მოვლენები, როგორცაა კორუფციის შემცირება, კონკურენციის ამაღლება ქვეყანაში, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა და ა.შ. რაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის კეთილდღეობის ზრდაზე. გარდა ამისა, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ძირითადად განვითარებული ქვეყნები ცდილობენ

შეამცირონ დღგ–ს საპროცენტო განაკვეთი და ხშირ შემთხვევაში განვითარებულ ქვეყნებს გაცილებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი გააჩნიათ. მაგალითად კანადა (5%), შვეიცარია (7,7%), ავსტრალია (10%) და ა.შ. ხოლო ქვეყნები, რომლებიც ზრდიან დღგ–ს განაკვეთებს, ძირითადად განპირობებულია იმით, რომ ისინი განიცდიან კრიზისს და ამით ცდილობენ ბიუჯეტის შევსებას. შესაძლოა ამან მოკლევადიან პერიოდში მოგვცეს დადებითი შედეგი, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ის არ იქნება ქვეყნის განვითარებისთვის ხელსაყრელი ფაქტორი.

და ბოლოს დღგ–ს საპროცენტო განაკვეთის შერჩევას მნიშვნელოვანია ოპტიმალური დონის განსაზღვრა, ის არც ზედმეტად მაღალი და არც ზედმეტად დაბალი უნდა იყოს. ზღვარის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მთელი რიგი ფაქტორები და მაჩვენებლები, მათ შორის: მშპ-ის მოცულობა და ზრდის ტემპი, საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა და ზრდის ტემპი, საგადასახადო შემოსავლებში ადგილობრივი წარმოებიდან, მომსახურებიდან და საბაჟო ოპერაციებიდან (იმპორტი) მიღებული შემოსავლების თანაფარდობა და ცვლილების ტენდენცია, ახლად შექმნილი ღირებულების მოცულობა, სტრუქტურა (სფეროების მიხედვით) და ცვლილების ტენდენცია, სამეწარმეო სუბიექტების ოდენობები საქმიანობის მოცულობების მიხედვით, მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა, საარსებო მინიმუმი, საგადასახადო ტვირთის სიმძიმე, ეკონომიკური საქმიანობის თანასწორუფლებიან, კონკურენტულ პირობებში განხორციელების შესაძლებლობა და ა.შ. თუ ჩვენ ზედმეტად მაღალი საპროცენტო განაკვეთი გვექნება, გაღრმავდება კორუფცია თავს იჩენს ჩრდილოვანი ეკონომიკა და სხვა რიგი პრობლემებისა, მაგრამ თუ ჩვენ ზედმეტად დაბალი საპროცენტო განაკვეთი გვექნება, ჩვენ ვეღარ შევძლებთ ბიუჯეტის შევსებას და ქვეყანას მივიყვანთ ეკონომიკურ კრიზისამდე.

დასკვნა

მრავალი ქართველი მეცნიერის გამოკვლევებსა და მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა შეიქმნა და ყალიბდებოდა ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა და გარდამავალი პერიოდის მიჯნაზე. პოსტსაბჭოური სისტემის პერიოდში გეგმიური მეურნეობრიობის პირობებში, რაც განპირობებული იყო წარმოების საშუალებებსა და წარმოებულ პროდუქციაზე სახელმწიფო საკუთრებით, რომლიდანაც სახელმწიფოს ნებისმიერ დროს ნებისმიერ მოცულობით შეეძლო მოეზიდა შესაბამისი სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტში, აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყანაში, კლასიკური გაგებით საგადასახადო სისტემა ფაქტობრივად არ არსებობდა და ამ თვასაზრისით ქვეყანას პრაქტიკულად არანაირი ინსტიტუციური მემკვიდრეობა არ მიუღია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების ფორმულირების კანონზომიერებანი და მეთოდოლოგია ძირეულად იცვლება, იგი თვისობრივად ახალ სახეს იძენს, შესაძლებელი ხდება გადასახადები გამოყენებულ იქნეს ეკონომიკის რეგულირების მძლავრ მექანიზმად. სახელმწიფოში ხდება რა ერთობლივი შიდა პროდუქტისა და ერთობლივი შემოსავლის განაწილება, გადასახადები და შესაბამისად საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შედეგებზე, ეკონომიკური საქმიანობის ცალკეულ სახეობებს შორის პროპორციებზე, საგადასახადო კვლავწარმოების სტრუქტურაზე, სოციალურ სფეროზე, კაპიტალის დაგროვების პროცესზე, მოსახლეობის მოხმარებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნილებაზე.

საგადასახადო ურთიერთობათა მდგომარეობაზე შიდა და გარე ფაქტორების ზეგავლენის გამოკვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბებისა პირველ ეტაპზე არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს შეიცავდა. ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე – გარდამავალ პერიოდში, პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ნაწილს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებასა და საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საგადასახადო თეორიის საკითხებს

თვლიდნენ მეორეხარისხოვნად, სახელმწიფო სტრუქტურები კი ცდილობდნენ, სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი სახსრები მოეზიდათ მეწარმეებიდან და მოსახლეობიდან, მარდი ოდენობით, თუმცა აღნიშნული პროცესი ნაკლებად უკავშირდებოდა პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

საქართველოს საგადასახადო სისტემით განსაზღვრული იმდროინდელი საგადასახადო დაბეგვრა ნაკლებად შეესაბამებოდა საზოგადოდ მიღებულ პრინციპებს, ისეთებს, როგორცაა: განსაზღვრულობა, გადასახადების ეკონომიურობა, მათი ამოღების ტექნიკური მოხერხებულობა და სიმარტივე, თანაფარდობა გადასახადებსა და გადამხდელთა გადახდისუნარიანობას შორის. ამასთან სახელმწიფო ცდილობდა გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების გაზრდის გზით შეემცირებინა საბიუჯეტო დეფიციტის დონე, რის გამოც ქვეყნის მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში გამუდმებით მიმდინარეობდა, შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა, საგადასახადო კოდექსის ბევრი მუხლი და დებულება იძლეოდა მისი შინაარსის ორგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას.

1992 – 1997 წლებში საგადასახადო ტვირთის უზომო ზრდა კიდევ უფრო აღრმავებდა მეწარმეთა ფინანსურ მდგომარეობას. ამ პერიოდში წარმოიშვა და შემდგომში კიდევ უფრო გამწვავდა წინააღმდეგობა ცალკეულ საწარმოთა მაღალ დაბეგვრასა და გადასახადების ამოღების დაბალ დონეს შორის. ამ წინააღმდეგობის საფუძველს საგადასახადო ტვირთის არათანაბარი განაწილება წარმოადგენდა. კეთილსინდისიერ გადამხდელებსათვის ქვეყანაში არსებული საგადასახადო ტვირთი შეესაბამებოდა განვითარებული ქვეყნის სტანდარტებს. ამას გარდა დიდი იყო შეღავათებიც, რომლებსაც აწესებდა სხვადასხვა დონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება. საწარმოები ცდილობდნენ კანონსაწინააღმდეგო ფორმით აერიდებინათ თავი გადასახადებისათვის და ამას ახეხებდნენ კიდევ, ხოლო საგადასახადო ტვირთი ძირითადად აწვებოდა ფიზიკურ პირებს და იმ მსხვილ საწარმოებს, რომლებსაც თავიანთი მასშტაბების გამო უბრალოდ არ შეეძლოთ გადასახადებისათვის თავის არიდება. 1998 წლიდან ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა საგადასახადო დაბეგვრაში არსებული სერიოზული დარღვევები. 1990–იან წლების საგადასახადო დაბეგვრის

პრაქტიკის ანალიზმა ნათელი მოჰგინა საქართველოს საგადასახადო სისტემის სტრატეგიის იმ შეცდომებს, რომლებიც მიმართული იყო მეწარმეთა საზიანოდ. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ, საქართველოში წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისათვის საგადასახადო რეჟიმი შედარებით ლოიალური უნდა იყოს იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკა გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა მოუფიქრებელ საგადასახადო გადაწყვეტილებათა მძევლის როლში აღმოჩნდება და საგადასახადო შემოსავლების როლის ზრდა ვერ უზრუნველყოფს წარმოების დაცემისა და საბიუჯეტი შემოსავლების კლების კომპენსირებას. 2004 წლიდან საგადასახადო სისტემის რეფორმის შედეგად საგადასახადო და საბაჟო სისტემებში კორუფციის დამღევისა და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით საბიუჯეტო შემოსავლები 3-ჯერ და მეტად გადიდა. ამასთან, მიუხედავად არსებითი ზრდისა, თანამედროვე მოთხოვნების სტანდარტებიდან გამომდინარე, ქვეყანაში კვლავაც აშკარად მცირეა საფინანსო რესურსები მოსახლეობის საიმედო და სარულყოფილი სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ კონტექსტში უნდა იქნას აღქმული საქართველოს პრემიერის მამუკა ბახტაძის განცხადებაც 2022 წლისთვის საბიუჯეტო სახსრების მეოთხედის განათლებაზე წარმართვისთაობზე, რაც ამჟამინდელთან შედარებით განათლებაზე სახელმწიფო ასიგნებების ქვეყნის მშპ-ში წილის ფქტობრივ გაორმაგებას გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფილებასა და მითუმეტეს მის იდეალურობაზე. შემუშავებულია წინადადებები საქართველოში მოქმედი ძირითადი გადასახადების სრულყოფასთან დაკავშირებით:

- დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ: დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხა, მართალია, გაიზარდა 100 000 ლარამდე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ზღვრული თანხა განისაზღვროს 200 000 ლარით.

დღგ-ის განაკვეთი მართალია 20%-დან შემცირდა 18%-მდე, მაგრამ ერთიანი გადასახადი საჭიროა შეიცვალოს გარდამავალი ეკონომიკის მდგომარეობის მქონე

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კერძოდ, მოხდეს მისი დიფერენციაცია და ხელი შეეწყოს ინვესტიციების მაღალი ტემპებით შემოდინებას და აგრეთვე ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განვითარებას.

საკმაოდ მაღალი გვეჩვენება და უნდა შემცირდეს იმ ოპერაციათა ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებისას დღგ-ს გადამხდელს შეუძლია მიიღოს ჩათვლა, აგრეთვე ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-საგან გათავისუფლებული საქონლის მიწოდება და იმპორტი;

• აქციზის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით, კერძოდ:

აქციზური საქონელი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, იბეგრება ზომის ერთეულის (ლიტრი, კგ, სმ³, 100 მ³, ტონა) აქციზის განაკვეთით (ლარი). მოცემული პრაქტიკა გამოიყენება ალკოჰოლური სასმელების, სიგარეტისა და თამბაქოს ნაწარმის, ნავთობისა და ნავთობის პროდუქტების და რიგი სხვა საქონლის წარმოებისა და შემოტანა-გატანის ოპერაციებისას. თუმცა მაგალითად, თუ ავიღებთ საწვავს, ან სპირტიან სასმელებს მათი ტონებისა და ლიტრების მიხედვით აქციზის განაკვეთების დაწესება ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავს საწვავის სითბური წვის სიმძლავრეს და ალკოჰოლური სასმელების სიმაგრეს სპირტიანობის მიხედვით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთ ჩამოთვლილი საქონლისა და სხვა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით გავიანგარიშოთ მათი წარმოება და/ან შემოტანა და გატანა პირობით ნატურალურ ზომის ერთეულებში. ასე მაგალითად, სხვადასხვა სახის ორგანული საწვავი შეიძლება გადავიყვანოთ პირობით საწვავში წვის თბოუნარიანობით 29,3 მეგაჯოული (7 000 კილოკალორია/კგ).

პირობით ნატურალურ ზომის ერთეულებში გადაყვანა შესაძლებელია სპეციალური კოეფიციენტებით, რომლებიც იანგარიშება ცალკეული სამომხმარებლო თვისების მქონე პროდუქტების ეტალონურ მნიშვნელობასთან შეფარდებით. მაგალითად, ავიღოთ 100 ტონა ნავთობი 45 მეგაჯოული/კგ წვის თბოუნარიანობით, იგი პირობით საწვავზე გადაყვანით ტოლი იქნება 153,6 ტონა პირობითი საწვავის (100X45/29,3).

ასეთივე პირობითი ნატურალური ზომის ერთეულებით შეიძლება შევაფასოთ ძლიერი, საშუალო და მსუბუქი სპირტიანობის შემცველი სასმელები; სხვადასხვა

დანიშნულების ზეთები და ა.შ. ამის შემდეგ როდესაც ცალკეულ სასაქონლო ჯგუფებზე მივიღებთ პირობითი ზომის ერთეულებს, შემდეგ მოვახდინოთ მათზე აქციზის განაკვეთის (ლარებში) დაწესება. აქციზის განაკვეთის გამომანგარიშების შემოთავაზებული მეთოდი ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო სამართლიანი იქნება მეწარმეებისათვის.

• იმპორტის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საქართველოსათვის, როგორც საბზრო ურთიერთობების პირობებში მოღვაწე ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანია ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესებით უზრუნველყოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და ცხოვრებაში გატარება. ზემოაღნიშნული განსაკუთრებით ეხება იმპორტის გადასახადს, რადგანაც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან ქვეყნის საქონლისა და მომსახურების იმპორტი ჯერადობით ჭარბობს ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტს. ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვების ძირითად პროდუქტებზე იმპორტის გადასახადების განაკვეთების დაწესებისას გამოყენებული იქნას ცალკეული პროდუქტების სასურსათო ბალანსების (წარმოება, მოხმარება, ექსპორტი, იმპორტი) მონაცემები ქვეყნის სამამულო წარმოების მხარდაჭერისა და აღორძინების მიზნით. გარდა ამისა, იმპორტირებული საქონლისა და განსაკუთრებით, ნავთობ-პროდუქტების იმპორტის განაკვეთების განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იქნას არა მარტო ქვეყნის ფისკალური ეფექტი, არამედ შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობაც, რისთვისაც საჭიროა დავიწყოთ ეკოლოგიური კვალის მაჩვენებლის ანგარიში არა მარტო საქართველოში წარმოებული პროდუქციის, არამედ იმპორტირებული პროდუქციის მიხედვითაც.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითად მიმართულებებს შემდგომი სრულყოფისათვის საჭიროა მიღწეულ იქნეს:

1. საგადასახადო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა;
2. საგადასახადო სისტემის მაქსიმალურად გამარტივება;
3. საგადასახადო შეღავათების მინიმუმამდე შემცირება;
4. პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ოპტიმალური შეთანაწყობა;

5. საგადასახადო განაკვეთების გონივრული შემცირებით საგადასახადო პრესინგის შესუსტება;

აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მთლიანობაში გაიზრდება ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის ეფექტიანობა, ხოლო არაპირდაპირი გადასახადების როლი და მნიშვნელობა მოვლენ უფრო მეტ შესაბამისობაში ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალთან და იმ ამოცანებთან, რაც ამ ტიპის გადასახადებს (ისევე, როგორც მთელ საგადასახადო სისტემას) უყენებს თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა და მის წინაშე მდგარი გამოწვევები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ანანიაშვილი. იდეალური საგადასახადო ტვირთი ეკონომიკის განვითარებისათვის. თსუ მეცნიერება, N1, 2011
2. ვ. ბასარია, რ. ბასარია „ეკონომიკის პრინციპები“, თბილისი–2017
3. გადასახადები და საგადასახადო სისტემა (მეორე გამოცემა 2006)
4. თ. კბილაძე. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური დონის განსაზღვრის პრობლემები საქართველოში–თბილისი 2014.(გვ. 153-169)
5. თ. კოპალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე. გადასახადები და დაბეგვრა. - თბილისი, 2011.
6. ი. მესხია, ო. ნიკოლეიშვილი. გადასახადები და დაბეგვრა. თბილისი. „თერგი“, 2002.
7. საგადასახადო საქმე–სახელმძღვანელო (შემდგენელები: ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე) თბილისი–2007
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. §§ 156-310. ავტორები: ლევან ნადარაია, ზვიად როგავა, კახა რუხაძე, ბონდო ბოლქვაძე. თბილისი, 2012. – Economic Prosperity <http://nccl.ge/m/u/ck/files/Tax%20Code%20Commentaries%20II.pdf>
9. ს. სვანაძე. არაპირდაპირი გადასახადები. მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები–ქუთაისი 2009 (გვ. 43; 68-84)
10. რ. ქორჩილავა. საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამაღლების ეკონომიკურ - ფსიქოლოგიური ასპექტები–თბილისი. 2014. (გვ. 3–10; გვ 146-156)
11. ს. ფუტყარაძე. საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტეპზე–ბათუმი 2012. (გვ. 113-141)
12. ჟურნალი „ტაბულა“ „აქციზის გადასახადის ზრდის სოციალური და ეკონომიკური ეფექტები“ თბილისი–2011.
13. ჟურნალი „ტაბულა“ „მთავრობა აქციზის გამოთვლის წესს ცვლის, რიგ შემთხვევაში ლუდზე აქციზი გაძვირდება.“ თბილისი–2017.
14. პ. თურქია. ჟურნალი „ბანკები და ფინანსები“ „მიზნობრივ ინფლაციასთან მიახლოება შემდეგ წელსაც გაჭირდება“

15. ჟურნალი „ბანკები და ფინანსები“ “ეს არის სიგარეტის გაძვირების მეორე ფაზა, მალე მე-3 და მე-4 ტალღაც იქნება”
16. ო.შავიშვილი, მ.ბრაგვაძე. გაზეთი „რეზონანსი“. „საგადასახადო განაკვეთების შემდგომი ლიბერალიზაცია აუცილებელია“.
17. Bumpei Miki. The Effect of the VAT Rate Change on Aggregate Consumption and Economic Growth. June 2011, No. 297

ინტერნეტმისამართები:

1. <https://www.mof.ge/4776>
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/13126?publication=0>
3. <https://civil.ge/ka/archives/133822>
4. http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=131&info_id=813
5. <https://www.mof.gov.tl/?s=budget&lang=en>
6. <https://ec.europa.eu/eurostat/web/main/home>
7. <https://www.oecd.org/>